

Rusudan Turnava

რუსუდან თურნავა

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**Georgian Literature and Culture on the Pages of the “Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa”  
(1970-1980s)**

**ქართული ლიტერატურა და კულტურა „რევიუ დე კარტველოლოჯი ბედი ქართლისა“  
ფურცლებზე  
(1970-1980-იანი წლები)**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10931>

The establishment of contacts between the foreign centers for the study of Georgian culture and Georgian scholars was greatly facilitated by the journal of Georgian and Caucasian studies - *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, which was published in European languages in Paris from 1957 to 1984 (in Georgian from 1948 to 1964). Under the leadership of the editors-publishers, Kalistrat and Nino Salia, the journal attracted the attention of scholars and the general public interested in Georgian art and culture around the world, and Paris became the international center of Kartvelology.

Based on publications and personal funds, the work presents: The activities of Kalistrat and Nino Salia as organizers, researchers of Georgian literature and history, the significance of the works of the journal's foreign and Georgian correspondents, cooperation between them and translations of Georgian poetry in the context of the era. This is a general picture created on the basis of 16 volumes published during the research period (1970-1980s).

**Key words:** The Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, European and American Kartvelologists, The International Center of Kartvelology, Paris

**საკვანძო სიტყვები:** „რევიუ დე კარტველოლოჯი ბედი ქართლისა“, ევროპელი და ამერიკელი ქართველოლოგები, ქართველოლოგიის საერთაშორისო ცენტრი, მეოცე საუკუნე, პარიზი

პოლიტიკურ და კულტურულ გზაჯვარედინზე მყოფი საქართველო ყოველთვის ეძებდა ევროპასთან კომუნიკაციის გზებს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაიწყო ქართველთა ურთიერთობა დასავლეთის კულტურის მოღვაწეებთან. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მოხსენიებული არიან უცხოური კულტურის მოღვაწეები, უცხოურ წყაროებში კი – ქართველები.

პირველი უცხოელი ქართველოგი, აკადემიკოსი მარი-ფელისიტე ბროსე საქართველოში თავისი მოგზაურობის გეგმის შესავალში, რომელიც 1846 წლის 5 ნოემბერს წარუდგინა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას, აღნიშნავს, რომ XV საუკუნიდან საქართველოში იმოგზაურა მრავალმა უცხოელმა, მაგრამ არავის უცდია მისი ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ან ლიტერატურის მეცნიერული შესწავლა (Salia, 1980, p. 13).

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების კვლევა საზღვარგარეთ განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში თანდათანობით შეიქმნა ქართული კულტურის შემსწავლელი ცენტრები. მანამდე, 1935-1937 წლებში ინგლისელი ისტორიკოსისა და ფილოლოგის უილიამ ალენისა და ინგლისში მცხოვრები ისტორიკოსის, ანდრია გუგუშვილის ხელმძღვანელობით გამოდიოდა ქართული კვლევების ჟურნალი „გეორგია“. მისი 1937 წლის ტომი თითქმის მთლიანად მიეძღვნა შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს. „გეორგიკამ“ შეწყვიტა არსებობა მეორე მსოფლიო ომის გამო.

უცხოელ ქართველოლოგებსა და საქართველოს შორის მეცნიერული კონტაქტების დამყარებას ხელი შეუწყო ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური კვლევების ჟურნალმა – „*რევიუ დე კარტველოლოჯი ბედი ქართლისა*“, (ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური კვლევები) (*Revue de Kartvéologie Bedi Kartlisa, Etudes Géorgiennes et Caucasiennes*), რომელიც კალისტრატე და ნინო სალიების ხელმძღვანელობით 1957 წლიდან 1984 წლის ჩათვლით გამოდიოდა პარიზში ევროპულ ენებზე. ჟურნალმა მიიპყრო დაინტერესებული მეცნიერებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება და პარიზი გახდა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის საერთაშორისო ცენტრი.

ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლებმა, კალისტრატე და ნინო სალიებმა თავდაპირველად 1948 წელს დაიწყეს მისი გამოცემა ქართულ ენაზე, მაგრამ მაშინ ენობრივო ბარიერის გამო მან ვერ მიიზიდა მეცნიერები. 1964 წლის ჩათვლით „*ბედი ქართლისა*“ კვლავ გამოდიოდა ქართულად და 1957 წლიდან, პარალელურად, ევროპულ ენებზე. დამაარსებლებმა არ დაზოგეს თავიანთი ენერგია და შესაძლებლობები, რომ ჟურნალი გამხდარიყო ავტორიტეტული მთელს მსოფლიოში. ქართველი მეცნიერებისა და უცხოელი ქართველოლოგების აქტიურმა თანამშრომლობამ არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო – ძალა მოიკრიბა და გაფართოვდა ქართულ-ევროპული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა. ჟურნალის სამეცნიერო საბჭო შედგებოდა ჰუმანიტარული დარგების მაღალი კვალიფიკაციის 17 მეცნიერებისაგან, მათ შორის: იულიუს ასფალგი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთის ქრისტიანული ტექსტების კოლექციის არაბული და ქართული სექციის, „კორპუს სკრიპტორუმ კრისტიანორუმ ორიენტალიუმ“ მთავარი რედაქტორი, ჟორჟ დიუმევილი – ფრანგი ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, რენე ლაფონი – ფრანგი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, კავკასიოლოგი, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჟერარ გარიტი – ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, აღმოსავლეთის კვლევების ჟურნალის, „*ლე მუზეონ*“ რედაქტორ-გამომცემელი, ივეტ გრიმო – ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლური მუსიკის კვლევითი ცენტრის დამაარსებელი, პარიზის უნივერსიტეტის (პარიზი VII), პროფესორი, დევიდ მარშალ ლენგი – კავკასიური კვლევების პროფესორი ლონდონის უნივერსიტეტში, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, გერტრუდ პეჩი – იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰანს ფოგტი – ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, ნორვეგიისა და დანიის მეცნიერებათა და ლიტერატურის აკადემიების წევრი, ბერნარ უტიე – აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის სპეციალისტი, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ფრიბურის (შვეიცარია) და თბილისის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი და სხვები.

რენე ლაფონი(1899-1974) ერთ-ერთი გამორჩეულია იმ უცხოელ ენათმეცნიერთა და კავკასიოლოგთა შორის, ვინც ღრმად შეისწავლა ქართული ენა და კულტურა და თავისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით სიცოცხლის ბოლომდე ხელს უწყობდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გაფართოებას, ჟურნალ „*ბედი ქართლისას*“ რედაქციის წარმატებით მუშაობას.

1926 წლიდან რენე ლაფონის ყურადღება მიმართულია სამი დიდი თემისაკენ: ბასკური ენა, ქართული ენა და სხვა კავკასიური ენები, ამასთანავე შედარება ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის, რასაც ის განუწყვეტლივ იკვლევდა. ერთდროულად სწავლობდა ქართულს, ყაზარდოულს და ბასკურს. 1929 წელს პარიზის საენათმეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა რ. ლაფონის სტატია - „*რამდენიმე თანხვედრა ჩრდილო კავკასიურ ენებსა და ქართველურ ენებს შორის*“ (*Quelques rapprochements entre les langues caucasiennes septentrionales et les langues kartvéles*, 1929). 1943 წელს ბორდოს უნივერსიტეტმა გამოსცა მისი სადოქტორო დისერტაციისთვის შექმნილი ორი ტომი: 1. „*ბასკური*

ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“ (*Le Système du verbe basque au XVI siècle, Bordeaux, ed. Delmas, 1943*) და 2. „ზმნური ფორმების სისტემა დამხმარე ზმნასთან XVI საუკუნის მთავარ ბასკურ ტექსტებში“ (*Le Système des formes verbales à auxiliaire dans les principaux textes basques du XVI siècle, Bordeaux, ed. Delmas, 1943*), რისთვისაც მიენიჭა საფრანგეთის ინსტიტუტის „ვოლნეის პრემია“.

1975 წლის „რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“ 33-ე ტომში (Tchikobava, 1975, p. 9-19) დაისტამბა აკადემიკოს არნოლ ჩიქობავას სტატია – „ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თანამედროვე ამოცანები“ (მის მიერ თბილისში, რენე ლაფონის ხსოვნისამი მიძღვნილ სხდომაზე, 1974 წლის 5 ნოემბერს წარმოთქმული სიტყვის მიხედვით). ავტორი იწყებს საფრანგეთის წვლილის წარმოჩენით ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური კვლევების განვითარებაში, აღნიშნავს, რომ მარი ბროსე იყო საზღვარგარეთ შექმნილი პირველი და მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ერთადერთი თანმიმდევრული ქართული ენის გრამატიკის ავტორი, რომლითაც უცხოელი მეცნიერები ქართულ ენას სწავლობდნენ. ჟორჟ დიუმეზილს ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები ჩრდილო კავკასიის ენების შესახებ, მაგრამ ლაზური ენის გარდა, მას არ შეუსწავლია სხვა ქართველური ენები. შემდეგ აროლდ ჩიქობავა განიხილავს რენე ლაფონის ნაშრომებს, ვრცლად არის ახსნილი მათი უდიდესი მნიშვნელობა ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზის დასმისა და კვლევის შედეგების მიხედვით. ორტომეულ ფუნდამენტურ ნაშრომში „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“, აშბობს ქართველი ენათმეცნიერი, რ. ლაფონმა გამოყო მსაგავსების 50 ნიშანი ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის, რომელთა ნაწილი მის მიერ პირველად იყო აღმოჩენილი. მას შემდეგ რენე ლაფონი თანმიმდევრულად მუშაობდა ბასკური ენის მორფოლოგიასა და ფონოლოგიაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში. იგი არის მრავალი გამოკვლევის ავტორი ქართული ენისა და მთის იბერიულ კავკასიური ენების შესახებ. მიუხედავად ამისა, არნოლდ ჩიქობავას აზრით, იბერიულ-კავკასიური ენებისა და ბასკური ენის ნათესაობა არ არის დამტკიცებული და საჭიროა მეტი ძალისხმევა, რომ რენე ლაფონის და სხვა ენათმეცნიერების (გერმანელი ლინგვისტი კარლ ერნსტ ბოუდა (1901-1979), ფრანგი ჟორჟ დიუმეზილი) მიერ გაწეულმა დიდმა შრომამ ამაოდ არ ჩაიაროს. კერძოდ, ჩიქობავას საჭიროდ მიაჩნია კვლევების გაგრძელება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 1. ბასკური და იბერიულ კავკასიური ენების ისტორიული წარსულის უფრო ფართოდ შესწავლა, რადგან მათი საერთო მახასიათებლები წარსულში უკეთესად გამოჩნდება, ვიდრე მათ თანამედროვე ფორმებში. 2. ქართველმა კავკასიოლოგებმა უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ ბასკური ენა, რადგან „ბასკოლოგ-კავკასიოლოგის“ კომპეტენცია გულისხმობს კომპლექსური პროფილის სპეციალისტს. ის უნდა ერკვეოდეს ქართული ენის ისტორიაში, მთის იბერიულ-კავკასიური ენების სამი ჯგუფიდან თითო ენას მაინც უნდა ფლობდეს. ასეთ სპეციალისტს სჭირდება თეორიული ლინგვისტიკის ღრმა ცოდნა, რათა ახალ თეორიებს შორის გამოარჩიოს საუკეთესო და არა მოდური. სტატიის დასასრულს, არნ. ჩიქობავა იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი კავკასიოლოგების ახალგაზრდა თაობა თავს გაართმევს ამ რთულ ამოცანებს. მას მოაქვს აკად. ვ. შიშმარიოვის აზრი: ბასკოლოგია წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო პრობლემას. ამიტომ არნ, ჩიქობავას ამ აქტუალური სამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად მიაჩნია კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, რითაც პატივს მიაგებენ უდიდესი ბასკოლოგ-კავკასიოლოგის, რენე ლაფონის ხსოვნას.

რენე ლაფონი ასზე მეტი ნაშრომის, თარგმანის და რეცენზიის ავტორია ქართველოლოგიაში. მან რეცენზიები მიუძღვნა ქართველი და ევროპელი ქართველოლოგების ნაშრომებს, რომლებმაც თავის მხრივ შეაფასეს მისი გამოკვლევები. რ. ლაფონის ვრცელი მიმოხილვა აკაკი შანიძის ნაშრომზე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ (დაიბეჭდა „ბედი ქართლისას“ 1974 წლის 32-ე ტომში, გვ. 292-294 (Lafon, 1974, p. 292-294). ფრანგი მეცნიერი კარგად იცნობს აკაკი შანიძის ნაშრომებს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე, აღნიშნავს, რომ მისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა პარალელურად მიმდინარეობს. რეცენზენტი წარმოაჩენს მუშაობის მრავალწლიან პროცესს, ქართული ენის გრამატიკის სხვადასხვა წლებში გამოცემული სახელმძღვანელოებიდან (1930, 1962) დაწყებული, ამ ნაშრომის ნაწილების გამოქვეყნებამდე (1942, 1943, 1953) და ბოლოს, ფუნდამენტური ნაშრომის შექმნამდე, რომელშიც რთული საკითხები ახლი რედაქციით

არის წარმოდგენილი; ჩანს როგორ ვითარდებოდა აკაკი შანიძის კონცეფციები ამ დარგში, რომელიც მეცნიერული პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით ეკიდებოდა საქმეს. წიგნის შესავალში აკ. შანიძე ამბობს: „ცხადია, ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი და დასაზუსტებელი, მაგრამ ნათელია, რომ ის ძირითადი სირთულეები, რომელსაც ვხვდებოდით ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის ახსნაში, დაძლეულია და გახსნილია გზა მომავალი კვლევა-ძიებისთვის“ (Lafon, 1974, p. 293).

„მომავალ კვლევა-ძიებას“ ეკუთვნის სწორედ, – წერს რენე ლაფონი, სინტაქსი. შანიძემ ეს ყველაზე უკეთ იცის. მის „გრამატიკას“ და „საფუძვლებს“ აწერია – „I. მორფოლოგია“... სახელოვანი მეცნიერს, რომელმაც პატივი დამდო თავისი მეგობრული დამოკიდებულებით, ვთხოვ ნებართვას აქ ერთი მოგონების გასახსენებლად. 1966 წლის ოქტომბრის ერთ ნაშუადღევს თბილისის აეროპორტისკენ რომ მივემართებოდი, ჩემს მეუღლესთან ერთად, შანიძემ, რომელმაც ჩვენი გაცილება დაჟინებით მოისურვა, გამიზიარა თავისი გეგმები, რომელთა განხორციელების იმედი ჰქონდა. მის გეგმებში დაასახელა „საფუძვლების“ მეორედ გამოცემა, ასევე ქართული ენის სინტაქსი და ძველი ქართული ენი გრამატიკა. იმედი გვაქვს, რომ შანიძე შეძლებს მალე, მიუხედავად მისი მრავალი ამოცანისა, დაუმატოს „სინტაქსი“ იმ დიდებულ ძეგლს, რომელიც მან აუგო თავის მშობლიურ ენას.“ (Lafon, 1974, pp. 293-294).

ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და კავკასიოლოგი ჰანს ფოგტი(1903-1986) ზოგადი ენათმეცნიერების და ინდოევროპულ ენათა სპეციალისტი იყო. იმავდროულად გახლდათ მრავალი საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1932-1934 წლებში ოსლოს უნივერსიტეტის სტიპენდიით საქართველოში სწავლობდა ქართულს, სვანურს და მეგრულს. მისი მასწავლებლები იყვნენ ილია აბულაძე, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, მაკარ ხუბუა. მას ქართული ენისადმი ინტერესი გაუჩნდა 1920-იან წლებში ცნობილ ქართველ ფილოსოფოსთან, კიტა მეგრელიძესთან ურთიერთობის შედეგად (თურნავა, 1978, გვ. 175), რომელსაც გერმანიაში შეხვდა. კიტა მეგრელიძე 1927 წელს დაბრუნდა საქართველოში და ხელი შეუწყო ჰანსის თბილისში ჩამოსვლას. სტუმარი აქ მასპინძლის ბინაზე ცხოვრობდა.

ჰანს ფოგტი უაღრესად ნიჭიერი, მრავალი ენის მცოდნე პოლიგლოტი და მრავალმხრივი მოღვაწე იყო, კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას, ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან ხშირად მოჰყავდა მაგალითები თავის ლიგვისტურ ნაშრომებში. ამასთანავე ის გამოირჩეოდა პიროვნული თვისებებითაც. სათნო, გულწრფელმა, მეცნიერებაზე უანგაროდ შეყვარებულმა ნორვეგიელმა სტუმარმა ქართველი კოლეგების გარდა მრავალი მეგობარი გაიჩინა ჩვენში, განსაკუთრებით მწერლები და ხელოვანი ადამიანები: მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, სესილია თაყაიშვილი, ს. ზაქარიაზე, ლ. გუდიაშვილი, დ.კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა კიტა მეგრელიძესთან და იოსებ მეგრელიძესთან. ქართველებსა და დიდ ნორვეგიელ ენათმეცნიერს შორის ისეთი სულიერი კავშირები გაიბა, რომ ის ხშირად იმეორებდა თურმე: დიდხანს ვიცხოვრე საფრანგეთში, გულითადი მეგობარი ვერ გავიჩინე, შედარებით ცოტა ხანს ვიცხოვრე საქართველოში, მეგობრებით გავმდიდრდი, რაც ქართველი ხალხის დიდბუნებოვნებას უნდა მიეწეროსო.(ფეიქრიშვილი, 2012, გვ.323-324).

1966 წელს ჰანს ფოგტი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის საიუბილეო ღონისძიებებში, ქართულად წარმოთქვა სიტყვა და გამოხატა თავისი აღფრთოვანება ქართველი პოეტისა და მისი პოემისადმი, დაახასიათა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა მსოფლიო პოეზიაში.

ბელგიელ აღმოსავლეთმცოდნეს, ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის გამორჩეულ სპეციალისტს, ქართველოლოგსა და არმენოლოგს, ჟერარ გარიტს (1914-1990) დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სასულიერო ლიტერატურის ძეგლების შესწავლის, თარგმნისა და მთელს

მსოფლიოში პოპულარიზაციის თვალსაზრისით. იგი იყო ლუვენის ფრანგულენოვანი უნივერსიტეტის პროფესორი 1950 წლიდან, აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალ „მუზეონის“ მთავარი რედაქტორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი. გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 20 დიდტანიანი წიგნი. ქართველოლოგიის დარგში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი შემდეგი ნაშრომები: „პალესტინურ-ქართული კალენდარი სინური ხელნაწერის N34-ის მიხედვით“ (*X საუკუნე*) – (*Le Calendrier Palestino-géorgien du Sinaiticus 34 (Xsicle) édité, traduit et commenté, Subsidia Hagiographica, No 30. Bruxelles, Société des Bollandistes, 1958 (en français)*), სინის მთის ქართული ლიტერატურული კატალოგი(ქართული ხელნაწერების აღწერილობა“ (*Catalogues des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai, – Subsidia, tome 9, vol. 165, Louvain, Durbecq, 1956 (en français)*), „მოციქულთა საქმეთა“ ძველი ქართული რედაქცია ორი სინური ხელნაწერის მიხედვით“ (*L’Ancienne version géorgienne des actes des apotres d’après les deux manuscrits du Sinai, Louvain, Publications universitaires – Institut Orientaliste, 1955*), „სვიმეონ მესვეტის და წმინდა ეფრემის ცხოვრება“ (*Vies géorgiennes de S.Symeon Stylite l’Ancien et de S.Ephrem, Louvain, Iber 8, 1957*), „წმინდა ანტონის ეპისტოლეთა ქართული ვერსია და კოპტური ფრაგმენტები“ (*Lettres de S. Antoine version géorgienne et fragments coptes – Scriptores iberici, toms 5, vol. 148*), „გიორგი ჰაგიორიტი ბერძნული „ბალავარიანის“ წარმოშობის შესახებ“ (*le Temoignage de Georges l’Hagiorite sur l’origine du “Barlaam” grec, Straclio da Museon. Revues d’études orientales, 71, 1958*), „სინის ქართული ხელნაწერები“ (*Les Manuscrits géorgiens du Sinai – Bedi Kartlisa, t. 1, 1957, p. 7-11*).

ნაშრომისათვის „პალესტინურ -ქართული კალენდარი სინური ხელნაწერის N34-ის მიხედვით“ (*X საუკუნე*), ჟერარ გარიტს 1959 წელს მიენიჭა ფრანკის პრემია (Le Prix Francqui), რომელიც ბელგიის მეფე ბოლდუენმა პირადად გადასცა მას. ეს ჯილდო ეძლევა მეცნიერს, რომლის ნაშრომი ბელგიის მეცნიერებას საერთაშორისო აღიარებას მოუტანს. ამ მოვლენას თავის ჟურნალში გამოეხმაურა „ბედი ქართლისას“ რედაქტორ-გამომცემელი, კალისტრატე სალია (Salia, 1959, p. 3-7). ის მაღლიერების გრძნობას და უღრმეს პატივისცემას გამოხატავს ჟერარ გარიტისადმი, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებისა და ლიტერატურების ფართო პროფილის იშვიათი სპეციალისტისადმი, რომლის ფუნდამენტური შრომები ერთდროულად მოიცავს ბიზანტიურ, კოპტურ, ქრისტიანულ არაბულ, სირიულ, ქართულ და სომხურ სამყაროს, და რომელმაც დიდ წვლილი შეიტანა ქართული ქრისტიანული ლიტერატურის კვლევაში, მსოფლიოს გააცნო მისი მნიშვნელობა. გარიტმა ქართული წერილობითი ძეგლების, ხელნაწერი ტრადიციის კვლევა ბერძნულ-პალესტინური მწერლობის კონტექსტში გადაიტანა, წარმოაჩინა ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხების წვლილი ბიზანტიური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ფრანკის პრემიის ჟიურის მიერ გარიტის ნაშრომებს შორის შერჩეულ პალესტინურ-ქართულ კალენდარს „ანალებქა ბოლანდიანამ“ უწოდა „*დოკუმენტი, რომელიც უნიკალურია თავისი მოცულობით, სიძველით და შინაარსის თავისებურებით.*“ კალისტრატე სალია ასევე ყურადღებას ამახვილებს ბელგიელი მეცნიერის მიერ შედგენილ წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის უნიკალური კატალოგზე. იგი წერს: „*სინის მთის ქართული ხელნაწერების ყ. გარიტის მიერ შედგენილი კატალოგი, სპეციალისტების აზრით, არამარტო ყველაზე სრული და კარგად შედგენილი კატალოგია, არამედ საუკეთესო ყველა ნაშრომს შორის, რომელიც ოდესმე მიეძღვნა სინურ ხელნაწერებს*“ (Salia, 1959, p. 3). ამიტომ არის ის აღიარებული წერილობითი ძეგლების კატალოგიზაციის ნიმუშად.

კალისტრატე და ნინო სალიების დაუღალავი შრომის შედეგად „ბედი ქართლისა“ გადაიქცა დამაკავშირებელ ხიდად ქართველ, ევროპელ და ამერიკელ ქართველოლოგებს შორის. მათ შორის თანამშრომლობა დაიწყო 1960-იან წლებში, როდესაც შესუსტდა საბჭოთა იდეოლოგიის წნეხი საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში. ამან ხელი შეუწყო ქართველოლოგთა ნაშრომების დონის ამაღლებას და გაფართოებას. თავდაპირველად ქართველი მეცნიერები თავს იკავებდნენ „*რევიუ დე ქართველოლოჟის*“ რედაქციასთან თანამშრომლობისაგან. როგორც ჩანს, წარსულის მძიმე გამოცდილება აგონდებოდათ. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც გაბედა ურთიერთობის დამყარება, აღმოჩნდა სერგო თურნავა, რომელმაც გაზეთ „*ახალგაზრდა კომუნისტის*“ ფურცლებზე( 1968, 11 ივლისი) გამოაქვეყნა კალისტრატე სალიას ნაშრომისადმი მიძღვნილი რეცენზია:

„ფრანგი მეცნიერის ნაშრომი ნიკოლოზ ბარათაშვილზე.“ ასე დაიწყო მისი ხანგრძლივი მიმოწერა კალისტრატე და ნინო სალიებთან ჟურნალის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით. სანიმუშოდ დავიმოწმებთ ბატონი კალისტრატე სალიას ერთ-ერთ წერილს (1970 წლის 7 თებერვალი) სერგო თურნავასადმი, რომელშიც კარგად ჩანს ამ ურთიერთობის მნიშვნელობა, რედაქციის მუშაობის პირობები და მოპოვებული წარმატება:

„დიდი მადლობა, რომ არ გვივიწყებთ. მიხეილ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი წიგნი დღეს მივიღე. ეტყობა საინტერესო უნდა იყოს. გუშინ მომივიდა უნგრეთიდან გრიგოლ ჩიქოვანის რჩეული. გადავხედე მხოლოდ. მართლაც შესანიშნავი ოსტატია ქართული სიტყვისა. გთხოვთ გადასცეთ ჩემგან დიდი მადლობა. მუშაობამ ასე მოიტანა, რომ მთელი საზღვარგარეთული ქართველოლოგიური დისციპლინის ცენტრი „ბედი ქართლისა არის“. საიდან არ მოდის შეკითხვა ამა თუ იმ საკითხზე. ჩვენი მუშაობა წვდება ყველგან, ამერიკიდან იაპონიამდე, სადაც აინტერესებთ კავკასიის ერთა კულტურა. მარტო ამერიკაში ასი ხელმომწერი მყავს, უნივერსიტეტები და მეცნიერული საზოგადოებანი. ჩვენ ქართველოლოგებსაც მოვლა უნდა, მათაც სჭირდებათ დახმარება. აი ჰანს ფოგტი ათ დღეში ჩამოდის სპეციალურად, რომ მივეშველოთ მისი გრამატიკის ხელახლა გამოცემის საქმეში (თურნავა, 1999, გვ. 13).

კალისტრატე სალიამ მწვავე პოლიტიკური ვითარების გამო 1921 წელს დატოვა საქართველო. მან განათლება მიიღო ჯერ გერმანიაში, დაამთავრა ქ. ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შემდეგ სორბონის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული (ისტორია-ფილოლოგია) ფაკულტეტი. პარიზში გაიცნო კალისტრატემ პოლონეთიდან ჩამოსული ნინო ქურციკაშვილი. ისინი მალე დაქორწინდნენ და 1948 წელს საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ფინანსური დახმარებითა და ნებართვით აისრულეს სანუკვარი ოცნება, დააარსეს „ბედი ქართლისა“; ქართველოლოგიური სამეცნიერო კვლევების ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი. საქმეს თანაბრად ინაწილებდნენ, კალისტრატე იყო რედაქტორი და ზოგჯერ კორექტორიც, ნინო – დამფუძნებელ-გამომცემელი (ფეიქრიშვილი, 2012, გვ. 124, 125). მასში თამაშრომლობდნენ ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები; წარმატების ერთ-ერთი საფუძველი დიდ ერუდიციასთან ერთად გახდა პოლიტიკურ მიმართულებებზე უარის თქმა და მთავარ მიზნად საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმოჩენა და დაცვა დასავლური ცივილიზაციის არეალში. 1957 წლიდან, როდესაც კრებულში დაიწყო ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე დაწერილი ნაშრომების გამოქვეყნება, 64 გვერდიანი პერიოდული გამოცემა დროთა განმავლობაში გახდა 360-400 გვერდიანი, უფრო გააქტიურდა კონტაქტები უცხოელ მეცნიერებთან, გაიზარდა კალისტრატე სალიას ავტორიტეტი მათ წრეში, იგი გახდა ჰამბურგის, ოსლოს, ლუვენის, ბორდოს, კამბერის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, პროფესორი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აკადემიის წევრი, პარიზის საზოგადოება, საისტორიო და ლინგვისტური, ასევე ბიზანტიოლოგიური საზოგადოებების წევრი, სამეცნიერო პრესის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი.

ჟურნალის, „*რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისა*“ ავტორიტეტის განმტკიცებას ხელი შეუწყო მისი რედაქტორ-გამომცემლების, კალისტრატე და ნინო სალიების ერუდიტულმა, მეცნიერულ მეთოდოლოგიასა და წამყვანი ქართველი მეცნიერების ნაშრომებზე დამყარებულმა პუბლიკაციებმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კალისტრატე სალიას ნაშრომები, რომელიც მოიცავს ფართო თემატიკას: ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების კარდინალურ საკითხებს. მკვლევარი წარმოაჩენს საქართველოს წვლილს მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში და არგუმენტებით ასაბუთებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თვითმყოფად ხასიათს.

კალისტრატე სალიას სტატიები თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შესახებ თავდაპირველად მოკლე მიმოხილვების სახით იბეჭდებოდა „*რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი*

ქართლისას“ 1964-1969 წლების XVII-XXVI ტომებში, რაც მიზნად ისახავდა უცხოელი მკითხველისთვის ქართულ ლიტერატურაში მთავარი ტენდენციებისა და განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებების გაცნობას, ევროპულ ლიტერატურასთან პარალელების გავლენას. 1972 წელს (ტომი XXIX-XXX, გვ. 205-239) გამოვეყენა უფრო ვრცელი, შევსებული რედაქცია, რომელიც მოიცავს V-XX საუკუნეებს.

გამოკვლევის დასაწყისიდანვე კ. სალია გამოყოფს ქრისტიანულ აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მდიდარი, თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის კვლევის მნიშვნელობას ლიტერატურათმორისი კვლევებისათვის ევროპის და მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით. რამდენადაც ქართული ლიტერატურა მოიცავს ლიტერატურული ნაწარმოებების დიდ მრავალსახეობას, იგი ხელს უწყობს ანტიკური ქრისტიანული და შუასაუკუნეების ლიტერატურებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის და ბიზანტიის ხალხებს შორის ურთიერთობის ისტორიის შესწავლას. დიდმნიშვნელოვანი ტექსტების გარკვეული რაოდენობა, რომელთა ბერძნული ან სირიული ორიგინალები დაკარგულად ითვლება, შემონახულია ქართულ ვერსიებში და მათი აღდგენა მხოლოდ ამ რედაქციებით არის შესაძლებელი.

ქართული ლიტერატურის პირველი მხატვრული ძეგლის, იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამების“ შესახებ მსჯელობისას, რომელიც დაიწერა 476-483 წლებში, პარიზელი მკვლევარი ამბობს, რომ ასეთი სრულყოფილი ნაწარმოების შექმნა, რომლის ენა გამოხატვის მაღალ დონეს ადასტურებს, ქართულ ლიტერატურას უნდა გაეგლო განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი. ასევე მისი აზრით, ბოლნისის სიონის (493-494 წწ.) და ბეთლემის წარწერების (430 წ. გ. წერეთლის მიხედვით), რომელიც ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა, მაღალი ენობრივი და სტილისტური დონე ქართული დამწერლობის წარმოშობის მე-5 საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე დათარიღების საშუალებას იძლევა.

კ. სალია ყურადღებას ამახვილებს ქართული კულტურის იმ მახასიათებლებზე, რომელიც ქმნის მის თვითმყოფადობას. იგი წერს:

„კავკასიის მთების ძირას მდებარე საქართველო აერთიანებს რელიგიური აზროვნების ორ მიმართულებას, ერთი მხრივ, ძველი აღმოსავლეთის მისტიკურ და ემოციურ ქრისტიანულ რწმენას, რომელიც მოდის სირიიდან და პალესტინიდან და მეორე მხრივ, რაციონალისტურ ფილოსოფიურ მიმართულებას ბერძნულ-ბიზანტიური ფორმით. ამ ორი მიმართულების შერწყმა ქმნის იმას, რასაც ვუწოდებთ ქართულ ქრისტიანობას, ლიტერატურული ნაწარმოებებით რომ მოაღწია ჩვენს თანამედროვეობამდე“ (Salia, 1972, p. 207).

გამოკვლევის ავტორი, კ. სალია გამოყოფს შემდეგ ფაქტს: ძველ აღმოსავლეთში ქართული ეკლესია არის პირველი და ერთადერთი, რომელიც იმ დროს, როცა სხვა ეროვნული ეკლესიები მოიცვა სქიზმამ, ის ბერძნულ-ბიზანტიური საამყაროს ერთგული დარჩა. ქართულმა ეკლესიამ თავიდან აიცილა აგრეთვე ხატმებრძოლობა (726-843 წწ.).

საერო ლიტერატურის ანალიზის ნაწილში კალისტრატე სალია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერს: „ეს პოემა, რომელიც დასავლეთ ევროპის რენესანსამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ასხივებდა ჰუმანისტურ იდეებს და ადამიანის კეთილშობილ მიდრეკილებებს, ეკუთვნის წარსული ეპოქის იმ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც ჩვენს თანამედროვეობამდე ინარჩუნებენ ნორმისა და სწორუპოვარი ნიმუშის ღირებულებას“ (Salia, 1972, p. 213). გამოკვლევის ავტორმა გარკვევით და მიზანმიმართულად წარმოაჩინა, გასაკუთრებით უცხოელი მკითხველისათვის, „ვეფხისტყაოსნის“ როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოების იდეურ-მხატვრული მახასიათებლები. მოქმედება მიმდინარეობს აღმოსავლეთში, მაგრამ ისე როგორც სარკეში, ზუსტად აირეკლება თამარ მეფის ეპოქის ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების დეტალები, ამ ქრისტიანული საზოგადოებისა, რომელიც თავისი სოციალური წყობითა და მსოფლმხედველობით დასავლეთ ევროპის საზოგადოებასთან ახლო ნათესაობას ავლენდა“ (Salia, 1972, p. 214). პარიზელი ქართველოლოგი, რუსთაველის ლექსის პოეტიკას ასე აფასებს: „გამოყენებული რითმებისა და

მეტაფორების მრავალფეროვნება, ისე როგორც ზუსტად შერჩეული შედარებები და პარალელიზმები, რომლებიც რიტმის თავისებურებასთან მჭიდრო კავშირშია, პოეტს ანიჭებს გამორჩეულ ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში“ (Salia, 1972, p. 214).

მე-19 საუკუნე ნაშრომში წარმოდგენილია რომანტიკოსების(ალ ჰუკინგემი, გრ.ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი) და კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლების შემოქმედებით (ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი).

კ.სალია ნიკოლოზ ბარათაშვილს უწოდებს ქართული რომანტიკული პოეზიის მეტრს, ყველა ადამიანის ღირსეული მისწრაფებების მგოსანს, რომელმაც ქართულ პოეზიას მსოფლიო რეზონანსი მოუტანა. მისი პოეტური სიტყვის სიმღიერის საფუძვლად აზრის ფილოსოფიური სიღრმე მიაჩნია, მოწინავე იდეებით ეპოქის სიბნელესთან ბრძოლა. რომანტიკული პოეზიის შედეგრი, ბარათაშვილის „მერანი“ კაცობრიობის უკეთესი მომავლის გზების ძიების სიმბოლოდ ესახება კ.სალიას.

პარიზელი მეცნიერი ღრმად ჩასწვდა ვაჟა-ფშაველას სააზროვნო სივრცის უნივერსალურ ხასიათს, რომელიც პიროვნების ზნეობრივი ამბლებიდან საზოგადოებაში ეთიკურ ღირებულებათა დამკვიდრებასა და ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმისაკენ არის მიმართული. მისი პოეტური შთაგონება მითოსთან არის დაკავშირებული. როგორც კ. სალია ამბობს, წარმართული წეს-ჩვეულებების გარემოცვაში მყოფმა ვერც ერთმა პოეტმა ვერ შეძლო თავისი ქვეყნის ტრადიციული მითების ასე აჟღერება და გაცოცხლება შესაბამის აზრობრივ, თემატურ და ენობრივ მასალაში. ვაჟა თითქოს უპიროვნო გენიაა, რომლის შემოქმედებაში ჩაქსოვილია საუკუნეების კოლექტიური ფანტაზია. ვაჟას პოემების პერსონაჟებს კ. სალია ასე ახასიათებს: „ამ პოემების გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებიც მათ თანამემამულეებზე მალა დადგნენ . ისინი უპირიპირდებიან თემს როგორც მაღალი ზნეობისა და კაცთა მოდგმის სიყვარულისათვის მებრძოლები. ისინი არიან კაცობრიობის უმაღლესი იდეალებისათვის მებრძოლი უჩვეულო მეთაურობები“ (Salia, 1972, p. 222).

კ. სალიას თქმით,

„ვაჟა იჭრება თვით ბუნების სულში და ცდილობს აღმოაჩინოს სიცოცხლის გამოხატულება მის ყოველ კუთხეში. ბუნება მისთვის არის დიადი არსება, რომელიც ცოცხლობს თავისი იდეალური ცხოვრებით, რომელიც ფიქრობს, ლაპარაკობს და გრძნობს. თავის მოთხოვნებში, რომელთაგან „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „მთის წყარო“ თარგმნა რენე ლაფონმა, ასევე ლექსებში და პოემებში, ბუნების ყველა მოვლენას ატარებს ადამიანური გრძნობებისა და ემოციების პრიზმაში“ (Salia, 1972, p. 223).

მიხეილ ჯავახიშვილის რომანებს შორის ნაშრომის ავტორი არტისტიზმის თვალსაზრისით გამოარჩევს „ჯაყოს ხიზნებს“, რომელიც ხასიათდება ენის ექპრესიულობით და მოქნილობით, გამდიდრებულია ხალხური გამონათქვამებით. პარიზელ ქართველოლოგს მწერლის შემოქმედების შედეგად მიაჩნია „არსენა მარაბდელი“. ის ამბობს, რომ რომანში პერსონაჟების სიმრავლემ და სიუჟეტის კომპლექსურობამ ჯავახიშვილს ხელი ვერ შეუშალა ერთიანი, ჰარმონიული კომპოზიციის შექმნაში. საუკეთესო პერსონაჟია თავად არსენა მარაბდელი, რომელსაც ასეთი რეზონანსი არ ჰქონია სხვა კლასიკური თუ მოდერნისტული ნაწარმოებებიდან (Salia, 1972, p. 228-229).

მეოცე საუკუნის პოეტებიდან ნაშრომში წარმოდგენილია გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და ირაკლი აბაშიძის პოეზია. კალისტრატე სალია გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციური წლების კრებულებში ხედავს თვალსაჩინოდ გამოხატულ სამყაროს მისტიკური კონცეფციის ელემენტებს, სამყაროს ირააციონალურ ხედვას და იმპრესიონისტული წერის მანერას.

„მიუხედავად ამისა, – წერს კ. სალია, – ევროპულმა მოდერნისტულმა ტენდენციებმა ვერ განაწყვეს პოეტი ეროვნულ ძირებთან, კლასიკური პოეზიის ძირითად მიმართულებებთან დასაშორებლად. მთელს შემოქმედებით გზაზე გალაკტიონმა შეინარჩუნა სულიერი ნათესაობა ქართული პოეზიის დიდ კლასიკოსებთან. მან შეძლო, ქართული პოეზიის განახ-

ლება შეერიგებინა დიდი ტრადიციების ერთგულებასთან და იმავდროულად გამოიყენა ევროპული პოეზიის აღმოჩენები“ (Salia, 1972, p. 233).

პარიზელი მკვლევარი ბოლოს ამბობს:

„გალაკტიონის ლექსები ატყვევებს მკითხველებს. მისი პოეზია ასხივებს ადამიანის სულის ამოუწურავ სიმდიდრეს. მისი ლექსების მუსიკა, მათი მომაჯადოებელი ლირიზმი პოეტის ნაწარმოებებს ანიჭებს მომნუსხველ ძალას.

თანამედროვე ქართული პოეზიის ევოლუციაში გალაკტიონ ტაბიძეს უდავოდ ენიჭება საპატიო ადგილი, ტაბიძის როლი უდავოდ ფასდაუდებელია. მან შექმნა მანამდე უცნობი ფერწერულ-ვიზუალური სურათები, მელოდორობის ორიგინალური მეთოდები, ორიგინალური რითმები. მის პოეზიაში სრულყოფილად წარმოჩნდა სიტყვის ფერი და სურნელი“ (Salia, 1972, p. 233).

ნაშრომის დასასრულს კალისტრატე სალია განიხილავს ირაკლი აბაშიძის პოეზიის მთავარ თემებსა და პოეტურ ხერხებს. იგი დახასიათებულია როგორც თავისუფალი შთაგონებითა და ბუნებრივი ტონალობით გამორჩეული პოეტი, თანამოსაუბრესთან პირდაპირი დიალოგის, პოეტური თხრობის ოსტატი. პარიზელი მკვლევრის აზრით იშვიათად არიან ასეთი პოეტები. ლექსის ლირიკულ გმირთან არის დაკავშირებული კომპოზიციის ყველა ელემენტი. ამიტომ არის მისი ლექსების სტილი ასეთი დახვეწილი. ბუნებასთან დამოკიდებულებაშიც ვლინდება გმირის სულიერი სამყარო. ბუნების თემა პირველი ლექსებიდანვე მნიშვნელოვანი იყო ირ. აბაშიძის პოეზიაში.

კ. სალია ასახელებს ომის შემდეგ შექმნილი ლექსების სამ ციკლს: „*მონადირის ღამეები*“ (1948), „*სიმღერა მკის დროს*“ (1950) და „*ჰყვავის გურია*“ (1950). ნაშრომის ბოლოს განხილულია ლექსების კიდევ ერთი ახალი ციკლი – „*პალესტინა, პალესტინა!*“ ეს ლექსები შეიქმნა 1960 წელს იერუსალიმში სამეცნიერო მივლინების დროს მიღებული ძლიერი შთაბეჭდილების ზემოქმედებით. იქ, ქართული ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე ირაკლი აბაშიძემ, აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა აღმოაჩინეს შოთა რუსთაველის უცნობი პორტრეტი. ამ ციკლში – „*პალესტინა, პალესტინა!*“ ირაკლი აბაშიძე შეეცადა გაეცოცხლებინა სამშობლოდან გადახვეწილი მარტოსული პოეტის ხმა და შორეული საუკუნეებიდან მოეტანა XX საუკუნის ქართველების გულამდე.

„და ჩვენ გვესმის შოთა რუსთაველის ხმა, – ამბობს კალისტრატე სალია, – მის ყოველ სიტყვას მოაქვს გულწრფელი აღსარება, პოეტური ვნების გამოხატულება; სწორედ ამ დროს ვგრძნობთ, რომ ირაკლი აბაშიძემ წარმატებით აღადგინა დაკარგული პოეტის გულშიჩამწვდომი მონოლოგი. ყველაფერი არსებითი, ღრმა და ძლიერი, რასაც ინახავდა რუსთაველის ცხოვრება და გული გამჟღავნდა ჩვენს წინაშე“ (Salia, 1972, p.237).

კალისტრატე და ნინო სალიების ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის „*რევიუ დე კარტველოლოჯი ბედი ქართლისა*“ (*Revue de Kartvelologie Bedi Kartlisa*) ფურცლებზე 1970 წლიდან თითქმის რეგულარულად ქვეყნდებოდა მისი რედაქტორ-გამომცემლის კალისტრატე სალიას გამოკვლევები საქართველოს ისტორიის საკითხებზე („*საქართველოს ისტორიის რამდენიმე ფურცელი. დავით აღმაშენებელი. მისი იდენტიფიკაცია მეფე-მოდღვარ იოანესთან*“, 1970, ტ. 27, „*საქართველოს ისტორიის რამდენიმე ფურცელი. გიორგი მესამე, თამარ მეფე. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურა შუა საუკუნეებში*“, 1971, ტ. 28, 1972 წელს ცალკე გამოქვეყნდა 29-30-ე ტომებიდან ამოღებული „*ცნობები საქართველოს შესახებ*“: *გეოგრაფია, ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა*. „*ბედი ქართლისას არსებობის მეოთხედი საუკუნე*“, 1974, ტ. 32, „*ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა*“, 1975, ტ. 33 და ა. შ.) 1980 წელს უცხოელმა ქართველოლოგებმა და ქართული კულტურით დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო მეცნიერის მთელი ცხოვრების თანმიმდევრული კვლევა-ძიების შედეგად შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომი – „*ქართველი ერის ისტორია*“ (*K. Salia, Histoire de la nation géorgienne, ed. Nino*

*Salia, 8, rue Berlioz, 75016, Paris, 1980, 552 p.*), რომელიც იმავე წელს დაჯილდოვდა საფრანგეთის აკადემიის პრემიით. წიგნი მოიცავს პერიოდს უმველესი დროიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. ავტორი კარგად იცნობს წინამორბედი თუ თანამედროვე ისტორიკოსების ნაშრომებს, მრავალრიცხოვან აღმოსავლურ თუ დასავლურ წყაროებს, განსაკუთრებით ეყრდნობა ქართული ისტორიოგრაფიის მთვარი პროტაგონისტების ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას წიგნებს. წყაროების ძიებასა და შესწავლასთან დაკავშირებით საგულისხმოა ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის, ცნობილი არმენოლოგის, საფრანგეთის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ინსტიტუტის პროფესორის, ჟან-პიერ მაეს რეცენზიაში გამოთქმული თვალსაზრისი. მას მიზანშეწონილად მიჩნია, რომ კ. სალია იზიარებს ძველი ისტორიის სპეციალისტის, ქრისტიანობის საწყისი პერიოდის მკვლევრის ფრანსუაზ ტელამონის (Françoise Thelamon) აზრს, რომ წმინდა ნინოს პორტრეტში ჩანს ღვთაებრივი შთაგონების წინაქრისტიანული წარმოდგენების ზოგიერთი დამახასიათებელი ელემენტი. და ახალმა ეთნოგრაფიულმა დოკუმენტებმა დაადასტურეს ბერძენი ისტორიკოსების მიერ გადმოცემული ცნობების სისწორე მაგალითად, მზის ქალღმერთის, ლევკოთეას კულტის შესახებ კოლხეთში. ჟ.-პ. მაეს ასევე ძალიან საყურადღებოდ მიაჩნია კ. სალიას მითითებები ძველ ქართულ მითებთან დაკავშირებით, კერძოდ დალი-არტემიდეს და ამირან-პრომეთეს შესახებ. ეხება რა ქართულ-სომხურ ურთიერთობებს, მაე აღნიშნავს:

„მიუხედავად იმისა, რომ მტრების გარემოცვაში ცხოვრობენ და ერთობლივადაც უბრძოლიათ მათ წინააღმდეგ, რაც „ძალიან ხშირად, აახლოვებდა მათ, კავკასიის ამ ორ ერს, დებივით რომ არიან, არ უყვართ თუ მათ სახელებს ერთმანეთში აურევენ... შუა საუკუნეების სომხურმა ისტორიოგრაფიამ მრავალი რეინტერპრეტაცია შეიტანა თავის საკუთარ ისტორიაში და სხვებთან მისი ურთიერთობის ისტორიაშიც. აქედან გამომდინარე კალისტრატე სალია იბრძვის ყველა ფრონტზე – ეს არის ქართლის მოქცევა, რასაც სომხები უკავშირებენ გრიგორ ლუსავორიჩს, ქართული ანბანის შექმნა – კორიუნის ერთი ვერსიით მესროპ მაშტოცთან არის დაკავშირებული, სასანიდებთან ბრძოლაში ლაზარ ფარპეცი ვახტანგ გორგასალს ყველაზე ცუდად ახასიათებს და ა. შ. შესამღებელია, რომ ყველა დეტალის მიხედვით, სალიას არგუმენტაცია არ იყოს ყოველთვის ერთნაირად სარწმუნო, მაგრამ ეს დისკუსია მთლიანობაში იძლევა გაფრთხილების საფუძველს: სომხური წყაროების გამოყენებისას წინასწარ უნდა გაკეთდეს მათი სერიოზული კრიტიკული ანალიზი“ (Mahé, 1982, p. 401).

მაე ყურადღებას ამახვილებს მუსლიმანური სამყაროს მიერ გარშემორტყმული საქართველოს მდგომარეობაზე, რომელიც ყოველთვის ევროპისკენ ისწრაფოდა. მას კ. სალიას „*ქართველი ერის ისტორიის*“ განსაკუთრებულ ღირსებად მიაჩნია, რომ ამ წიგნში საქართველო წარმოდგენილია სხვადასხვა ასპექტით, ეს არის მატერიალური, ემოციური, ინტელექტუალური თუ რელიგიური მხარეები. ამასთანავე დამატების სახით შეტანილია არსებითი ხასიათის მონაცემები ქართული ხელოვნების, ლიტერატურისა და მუსიკის განვითარების შესახებ პირველსაწყისებიდან მეოცე საუკუნემდე. მოკლედ არის წარმოდგენილი კალისტრატე და ნინო სალიების ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის „*რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისა*“ მიერ ჩატარებული კვლევების მზარდი საერთაშორისო ავტორიტეტი, – ამბობს ჟან-პიერ მაე (Mahé, 1982, p. 402).

კალისტრატე სალიას ეკუთნის ინიციატივა კავკასიური კვლევების აღმოსავლეთმცოდნეობასთან დაკავშირების აუცილებლობის შესახებ. მას საკმარისად არ მიაჩნია კავკასიის მხოლოდ ირანოლოგიასთან დაკავშირება, ვინაიდან კავკასიის კვლევა გულისხმობს მის კავშირებს ქრისტიანულ აღმოსავლეთთან და დასავლეთ ევროპასთან. ამასთან დაკავშირებით კალისტრატე სალიამ წინადადებით მიმართა აღმოსავლეთმცოდნეთა 24-ე კონგრესს მიუნხენში, 1957 წელს. იგი წერდა:

„ჩვენ არ ვცდილობთ იმის გარკვევას, არის თუ არა კავკასიოლოგია აღმოსავლეთმცოდნეობის ნაწილი, მაგრამ სასარგებლოდ მიგვაჩნია, რომ მას დაეთმოს ადგილი მეცნიერების ამ დარგში. მიუხედავად იმისა, რომ კავკასია დაკავშირებულია ირანთან, უმჯობესი იქნებოდა მომავალში ის დამოუკიდებლად იყოს წარმოდგენილი. ცხადია კავკასიოლოგიას აქვს საერ-

თო საკითხები ირანოლოგიასთან, თუმცა არანაკლებია ასეთი კავშირები ქრისტიანულ აღმოსავლეთთან და დასავლეთ ევროპასთან“ (Salia, 1973, p. 7).

კალისტრატე სალიას აზრით, აღმოსავლეთმცოდნეობაში კავკასიოლოგიის დამოუკიდებელი სექციის შექმნა ხელს შეუწყობს კავკასიელი ხალხების წვლილის წარმოჩენას და მათი როლის განსაზღვრას ცივილიზაციების ისტორიაში. კ. სალიას აღნიშნული წინადადება განიხილა მიუნხენის ყრილობის სპეციალურმა კომისიამ და უკვე 1960 წელს, მოსკოვის კონგრესზე კავკასიოლოგებმა მიიღეს მონაწილეობა, რაც მეტად მრავალმხრივი და წარმატებული აღმოჩნდა. კავკასიოლოგები მონაწილეობდნენ ასევე ნიუ-დელისა და მიჩიგანის მომდევნო შეხვედრებში.

მაგრამ ორიენტალისტთა 1973 წლის შეხვედრაზე, რომელიც პარიზში გაიმართა, კავკასიოლოგები არ იყვნენ მიწვეული. კალისტრატე სალიამ სინანულით აღნიშნა ეს სავალალო ფაქტი თავის სიტყვაში:

„კავკასია თავისი 32 ენით წარმოადგენს უპირატეს ადგილს ლინგვისტების და ეთნოლოგების კვლევებისთვის. ამავე დროს, რელიგიის ისტორიკოსები, მუსიკათმცოდნეები და ეთნოლოგები იშვიათად თუ იპოვნიან მხარეს, რომელშიც გავრცელებულია ამდენი სარწმუნოება, ამდენი მითი, ლეგენდა და ძველი ტრადიცია. ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის მკვლევარები იქ იპოვნიან მათი ისტორიულ-ლიტერატურული კვლევებისთვის თითქმის ხელშეუხებელ საგანძურს“ (Salia, 1973, p. 8).

კალისტრატე სალიას სიტყვაში მოცემულია დამაჯერებელი, მეცნიერული არგუმენტები, რომ კავკასიური კვლევები გამოავლენს ბევრ საერთო პრობლემას აღმოსავლური და ევროპული კვლევებისთვის.

კ. სალიას „ნარკვევი ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა შესახებ“ (*Bref Aperçu sur les Rapports Géorgiano-Byzantins*) (იხ. „რევუ დე კარტველოლოჟი“, 1975, ტ. 33, გვ.119-161) მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1) საქართველოს წვლილი ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. 2) საქართველოს უგულვებელყოფა ბიზანტიისა და მედიევისტური სამყაროსადმი მიძღვნილ ნაშრომებში. 3) ქართული კულტურის ცენტრები საზღვარგარეთ: მონასტრები და ბერები და მათი როლი ბიზანტიის იმპერიაში. 4) ქართულ ვერსიებში დაცული ბიზანტიური ლიტერატურის დაკარგული ძეგლები. 5) რამდენიმე ფურცელი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან (Salia, 1975, p. 119).

აღნიშნული სტატიის დასაწყისში კალისტრატე სალია ყურადღებას ამახვილებს იმ შეცდომებსა და უზუსტობებზე, რომელიც ვლინდებოდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებულ ევროპულ ლიტერატურაში. იგი წერს: „საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების უმრავლესობაში შესაფერისი ადგილი არა აქვს დათმობილი მის წარსულს და მდიდარ კულტურას. სიტუაციას უფრო ამძიმებს ქართული ცივილიზაციის შესახებ შექმნილი მცდარი სურათი, სავსებით დამახინჯებული კი“ (Salia, 1975, p. 119). ასე მაგალითად, ლარუსის გამომცემლობა (დოკუმენტაციის განყოფილება, 10 ივლისი, 1973 წ.) ატყობინებს კ. სალიას: „ვადასტურებ „რევუ დე კარტველოლოჟის“ 30-ე ტომის მიღებას, რომელიც თქვენი კეთილი ნებით მოგვაწოდეთ. მას განიხილავს დოკუმენტაციის სამსახური. ჩვენ საფუძვლიანად შევისწავლით თქვენს გამოკვლევას საქართველოს შესახებ, რომ მოვამზადოთ ის ცვლილებები თუ დამატებები, რომელთა შეტანა შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ სხვადასხვა ნაშრომში...“ (Salia, 1975, p. 119-120). მსგავსი გამოხმაურებები კ.სალიას მიღებული აქვს აგრეთვე სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ჟურნალის რედაქციებისაგან.

კოლექტიურ ნაშრომში სათაურით „ხალხები და ცივილიზაციები, ანტიკური პერიოდიდან მედიევისტურ სამყარომდე (საფრანგეთის საუნივერსიტეტო გამომცემლობა, პარიზი, 1972), – წერს კ. სალია, –

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. ბიზანტიის იმპერიისადმი მიძღვნილ თავებში საქართველო საერთოდ იგნორირებულია და სომხეთი წიგნის ავტორების ფავორიტია, მაგრამ სათანადოდ მაინც არ არის წარმოდგენილი. ავტორები საერთოდ არ იცნობენ საქართველოს და არც მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე აქვთ წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი უძლიერესი სამეფო ახლო აღმოსავლეთში(X-XIII საუკუნეები), თამაშობდა მნიშვნელოვან როლს მსოფლიო არენაზე, სახელდობრ, დასავლური ქრისტიანული კულტურის დამცველის როლს. ამ წიგნის მიხედვით, – განაგრძობს კ. სალია, – მდინარე ფაზისი მდებარეობს სომხეთში, ბიჭვითაც ასევე სომხეთშია, ასე რომ, ნახევარის საქართველო სომხეთის ტერიტორიადაა გამოცხადებული (Salia, 1975, p. 120).

„ბიზანტიისადმი მიძღვნილი სტატიების ავტორები საერთოდ არ ახსენებენ საქართველოს ეკლესიას, რომელიც, როგორც ფრანგი მეცნიერი რ. ჟანენი აღნიშნავს თავის ნაშრომში „ქართველები იერუსალიმში“ (Les Géorgiens à Jérusalem, Echos d'Orient, 1913, t. 16 ), უთუოდ არის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ეკლესია აღმოსავლეთში არა მარტო წმინდანებითა და მეცნიერებით, რომლებიც მან წარმოშვა, არა მარტო რელიგიური ხელოვნების ნაწარმოებებით, რომლის ძვირფასი ნიმუშები შემოგვრჩა; იმავდროულად იგი გამოირჩევა გარეგნული ბრწყინვალეობითა და გავლენით მრავალ რეგიონში და განუწყვეტელი ბრძოლით ყველა დროში მისი სულიერი შვილების რწმენის დასაცავად“ (Salia, 1975, p. 121).

კალისტრატე სალიასთან ერთად „რევიუ დე კარტველოლოჟის“ დაარსებასა და ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მეუღლეს, ნინო ქურციკაშვილ-სალიას, ჟურნალის დამფუძნებელსა და ერთ-ერთ ხელმძღვანელს. ნინო სალიამ დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა პარიზში. იქ 1926 წელს გაიცნო მომავალი მეუღლე (ფეიქრიშვილი, 2012, გვ.124). მათ 1948 წელს დაიწყეს ჟურნალის გამოცემა, ჯერ ქართულ ენაზე, 1957 წლიდან კი ძირითადად ფრანგულ ენაზე და ამასთანავე სტატიების გარკვეული ნაწილი იბეჭდებოდა გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ნინო სალია იკვლევდა ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების საკითხებს, რევიუ დე კარტველოლოჟიში გამოქვეყნებულია მისი მრავალი სტატია: „მსოფლიო პრესის აზრი, ქართული ხალხური ცეკვების შესახებ“ (*Opinion de la presses sur les danses folklorique, Revue de Kartvéologie, 1960, vol. 8-9, p. 135- 143*), „კვიპროსულ-ქართული კულტურული ურთიერთობებისათვის: მიწისქვეშა მცირე ქალაქი“ (*Apport à l'histoire des relations culturelles cypro-géorgiennes. Une cité sous terre, Revue de Kartvéologie, 1963, vol. 15-16, 8-98*), შოთა რუსთაველის უცნობი პორტრეტი (*Un Portrait inconnu de Chota Roustaveli, Revue de Kartvéologie, 1961, vol. 11-12, p. 164-166*), „შუა საუკუნეების ქართული პოემის ლიტერატურული და სამეცნიერო მნიშვნელობა“ (*L'Importance littéraire et scientifique du poème médiéval géorgien, Revue de kartvéologie, 1965, vol. 19-20, p. 15-30*), „შოთა რუსთაველის 800 წლისთავი: ვარძია, კლდეში ჩასმული ციხე-სიმაგრე“ (*Le 800<sup>e</sup> anniversaire de Chota Roustaveli” Vardzia, forteresse rupestre, Revue de Kartvéologie, 1967, vol. 23-24, p. 83-104*), „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ (*Les Travaux de l'Université d'Etat de Tbilisi, Revue de Kartvéologie, 1969, vol'26, p.102-109*), „რამდენიმე სიტყვა შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაზე მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით“ (*Quelques mots sur l'activité scientifique de Chalva Amiranachvili à l'occasion de son soixante-dixième anniversaire, Revue de Kartvéologie, vol. 1970, vol 70, p. 46-49*), „პორტუგალიური დოკუმენტები საქართველოს დედოფლის ქეთევანის წამების შესახებ“ (*Documents portugais sur le martyre de la Reine Ketevan de Géorgie, Revue de Kartvéologie, 1973, vol.31, p.64-70*) და სხვა.

ნინო სალიას გამოკვლევაში, რომელიც ეხება ქეთევან დედოფლის წამებისადმი მიძღვნილ პორტუგალიურ დოკუმენტებს, მოცემულია ისტორიული მასალების ანალიზი. მათ შორის უმთავრესია ქეთევანის წამების თვითმხილველი პორტუგალიელი ბერების მიერ 1640 წელს პროპაგანდა ფიდესთვის გაგზავნილი მოხსენება და ასევე შესაბამისი ქართული ვერსია(Salia, N.1973, p.65-70).

ავტორი ეყრდნობა რობერტო გულბენკიანის ნაშრომს: „*ლუის პერიერა დე ლაცერდას საელჩო სპარსეთში და ავგუსტინელთა ორდენის პორტუგალიელი ბერები. ბელგიორ დუშ ანჟუში და გულიერმ დე სანტო აგოსტინო, 1604-1605 წწ, ლისაბონი, 1972, 194 გვ. (თან ერთვის 17 ჩანართი და ავგუსტინელთა მისიების რუკა სომხეთსა და საქართველოში)* (Roberto Gulbenkian, *L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin. Belchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostinho, 1604-1605, Lisbonne, 1974, 194 p. with 17 plates and one map of the Augustinian Missions in Armenia and Georgia.*

გულბენკიანის სტატიიდან ირკვევა, რომ პორტუგალიელმა ინჟინერმა, დეკორატიული მოზაიკის სპეციალისტმა, ხ.მ. დუშ სანტოს სიმონესმა (J. M. dos Santos Simões) გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე შეატყობინა მას ლისაბონის გრასას მონასტრის მთავარი დარბაზის კედლებზე ლურჯი და თეთრი მოზაიკის ფილებით (azulejos) გაკეთებული პანოს შესახებ, რომელიც ასახავს ქეთევან დედოფლის წამებას პორტუგალიელი ავგუსტინელი ბერების თანდასწრებით.

ნინო სალია იკვლევს ქეთევანის იმ წმინდა რელიკვიების გავრცელების გზებს, რომელიც ამბროზიო დუშ ანჟუშს და პედრო დუშ სანკტოს არ გადაუციათ თეიმურაზ პირველისთვის, მან ევროპაში, კერძოდ, ნამიურშიც ეძება ეს რელიკვიები, მაგრამ ამაოდ. წარმოჩენილია ავგუსტინელი ბერების მცდელობა, დაეარსებინათ მისიები საქართველოში, ირკვევა, რომ პორტუგალიელმა ავგუსტინელმა ბერმა, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშმა დაარსა პირველი კათოლიკური მისია საქართველოში, გორში, 1628 წელს.

ნინო სალია, როგორც ქველმოქმედი, რომელიც მუდამ ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ ვერ შეისრულა ეს სანუკვარი ოცნება, ცდილობდა ყველა შესაძლებლობის გამოყენებას თავისი ხალხის დასახმარებლად. მრავალ ფაქტს შორის გავიხსენებთ მის მიერ თავისი უნიკალური მდიდარი(5000-ზე მეტი ერთული) ბიბლიოთეკის გადაცემას საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის, სადაც შეიქმნა მისი სახელობის კაბინეტი. ეს არის სხვადასხვა დარგის ლიტერატურა: ფილოლოგია, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ნუმისმატიკა, არქეოლოგია, განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონები, ლათინური, ბერძნული, ებრაული ლექსიკონები.

კალისტრატე და ნინო სალიებმა მთელი თავისი ქონება დაუტოვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას (ფეიქრიშვილი, 2012, გვ. 140).

„რევიუ დე კარტველოლოჟის“ სამეცნიერო საბჭოს წევრები – რენე ლაფონი, ჰანს ფოგტი და ჟორჟ დიუმეზილი ჟურნალის გამოცემის 25 წლისთავისადმი (1948-1973) მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავენ:

„ეს ევოლუცია და დიდი წარმატება თავისით არ მოსულა. სამართლიანობა მოითხოვს წარმოვაჩინოთ რედაქტორ-გამომცემლის კ. სალიას და მისი მეუღლის ქალბატონ ნინო სალიას როლი. მათ გარეშე ვერაფერი სასარგებლო და მნიშვნელოვანი ვერ გაკეთდებოდა. მათ ჰქონდათ ნათელი აზრი დასახული მიზნის შესახებ და შეძლეს მისი განხორციელება. მეცნიერული კეთილსინდისიერების, სიმტკიცისა და მოქნილობის, მოთმინებისა და გულწრფელობის წყალობით მათ მოიპოვეს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა თანადგომა... ვერავინ, პროფესორ კ.სალიას და ქალბატონ ნინო სალიას გარდა, ვერ შეძლებდა და არც მოისურვებდა ასეთი შრომის გაწევას და ასეთი მსხვერპლის გაღებას“ (Lafon et al.,1974, p. 11-12).

აქ უნდა აღინიშნოს რენე ლაფონის განსაკუთრებული თანადგომა „რევიუ დე კარტველოლოჟის“ რედაქტორ-გამომცემლებისადმი, მისი მუდმივი ყურადღება ჟურნალის მუშაობის გაღრმავება-გაფართოებისადმი ქართული ენის ბუნებისა და სიმდიდრის უკეთესად წარმოსაჩენად, ქართული ლიტერატურისა და კულტურის გასაცნობად.

რენე ლაფონმა სტატიების მთელი სერია გამოაქვეყნა სათაურით – „*ქართული ენის უკეთესად გაცნობისთვის, „ბედი ქართლისას“ ზემოთ აღნიშნულ ნომრებში, 1958-1959 და 1961-1963 წლებში. ფრანგი ქართველოლოგი მიზნად ისახავდა ქართული ენის სტრუქტურის, მისი გრამატიკული ნიშნების და გამოხატვის შესაძლებლობების გაცნობას ევროპელი საზოგადოებისთვის.*

რენე ლაფონს ქართული ენის გავრცელების ხელისშემშლელ ერთ-ერთ ფაქტორად მიაჩნდა მატერიალური სიძნელეები: არ არის შესაფერისი სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, რომელიც დაეხმარებოდა მსურველებს ქართულის შესწავლაში. ამიტომ ფრანგი მეცნიერი უყურადღებოდ არ ტოვებდა ასეთი ლიტერატურის გამოძიებას. ის სიხარულით შეხვდა ნორვეგიელი ლინგვისტის და შესანიშნავი ქართველოლოგის, ჰანს ფოგტის „ქართული ენის გრამატიკის“ ფრანგულ ენაზე გამოცემას 1971 წელს. რენე ლაფონი თავის არგუმენტირებულ რეცენზიაში, რომელიც დაისტამბა „ბედი ქართლისას“ 1972 წლის 29-30-ე ტომში (გვ. 333-334), მადლობას უხდის ავტორს ამ მეტად საჭირო წიგნისთვის, რომელსაც წარმატებით გამოიყენებდა ფრანგულენოვანი მკითხველი. ქართული ენის დახასიათებისას ლაფონმა ხაზგასმით მიუთითა, თუ რატომ იმსახურებს ეს ენა მეტ ყურადღებას ცივილიზებული მსოფლიოსგან.

„ქართული ენა, – წერს რეცენზიის ავტორი, – რომელიც ეკუთვნის სამხრეთ კავკასიის ენათა ჯგუფს, ქართველურ ენებს, არის ძალიან საინტერესო ენა. ქართული ენა კავკასიის ენებს შორის არის ერთადერთი, რომელიც ამდღეობულია ცივილიზებული ენის დონემდე. ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა ეს თვისება მოიპოვა საუკუნეების განმავლობაში. იგი საქართველოს სახელმწიფო ენაა“ (Lafon, 1972, p. 333 – 335).

რენე ლაფონი რეცენზიით გამოეხმაურა აგრეთვე პროფ. ისიდორე გვარჯალაძის და ეთერ ლეზანიძის მიერ შედგენილი ქართულ-ფრანგული ლექსიკონის გამოცემას („ლინგვისტური საზოგადოების ბიულეტენი“, პარიზი, 1973, ტომი 68)(*Bulletin de la société linguistique, Paris, 1973, vol. 68*. რეცენზიაში ნათქვამია:

„რამდენიმე წლის წინათ, ცნობილმა ლექსიკოლოგმა პროფესორმა ისიდორე გვარჯალაძემ გამოსცა მცირე „ქართულ-ფრანგული ლექსიკონი“, რომლის მეორე გამოცემა გამოვიდა 1967 წელს თბილისში. აღნიშნული წიგნი მცირე ფორმატისაა, იგი შეიცავს 272 გვერდს, შეიძლება მისი ჯიბით ტარება, სასარგებლო და ადვილად მოსახმარია. პროფესორმა დღეს ე. ლეზანიძესთან ერთად მოგვაწოდა დიდი ხნით ნანატრი დიდი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 611 გვერდს. ლექსიკონი დიდ სამსახურს გაუწევს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კულტურული ურთიერთობის განვითარებას საფრანგეთსა და საქართველოს შორის, აგრეთვე სხვა ქვეყნებს შორის, სადაც ფრანგულად მეტყველებენ“ (თურნავა, 1978, გვ. 88).

1966 წლის სექტემბერში რენე ლაფონი თავის მეუღლესთან, ალბერტინა ლაფონთან ერთად შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით მონაწილეობას ღებულობდა საიუბილეო ღონისძიებებში, წაიკითხა ლექციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ქართულად გამოვიდა სიტყვით საიუბილეო სხდომაზე. 1969 წელს მას მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. ამავე წელს გამოიცა სერგო თურნავას მონოგრაფია – „რენე ლაფონი და საქართველო“.

ამ წიგნთან დაკავშირებით რენე ლაფონმა ავტორს გამოუგზავნა სამადლობელი წერილი:

„ძალიან ვამაყობ, რომ ერთმა ქართველმა მეგობარმა დაწერა და გამოაქვეყნა წიგნი, რომლის სათაურში ჩემი სახელი გაერთიანებულია საქართველოს სახელთან. იცით, საქართველო ღრმად მიყვარს... გავაგრძელებ ჩემს ნაშრომებს ბასკური ენის, ქართული ენისა და სხვა კავკასიური ენების შესახებ. დიდი სიამოვნებით გავაცნობ საფრანგეთში(და იმ ქვეყნებში, სადაც ფრანგული ენა იხმარება) საქართველოს ენას, ლიტერატურას, მეცნიერებასა და კულტურას, ენას, რომელიც რთულია, თავისებური და მუდამ ცოცხალი“ (თურნავა, 1999, გვ. 45).

რენე ლაფონს ეკუთვნის ასევე ქართულიდან ფრანგულად შესრულებული თარგმანები, რომლებიც იბეჭდებოდა „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე: რამდენიმე თავი ვეფხისტყაოსნიდან (პროზად), ვაჟა-ფშაველას მოთხრობები – „მთის წყარო“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, აკ. წერეთლის

„სულიკო“, ირ აბაშიძის „ხმა გოლგოთასთან“. მან ვეფხისტყაოსანს მიუძღვნა გამოკვლევა – „თხრობის ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“ (ფატმანის ეპიზოდი)“ (*L'Art du recit dans "le Chevalier à la Peau du Tigre: l'épisode de Phatmane)* (Lafon, 1966, p. 7-17).

რენე ლაფონმა იშვიათი ფსიქოლოგიური და მხატვრული ანალიზი მიუძღვნა რუსთაველის თხრობის ხელოვნებას ფატმანის ეპიზოდის განხილვით. ფრანგი ენათმეცნიერი ყურადღებით აკვირდება ფატმანის შემოსვლას, მოქმედებას და გამოსვლას სიუჟეტიდან, აღნიშნავს, რომ ის უხმაუროდ შემოდის ტექსტში და ასევე მშვიდად გადის. იგი გაცხებულია რუსთაველის მიერ თხრობის რიტმის მართვის ხელოვნებით, და რაც მთავარია, ფატმანი, დაბალი სოციალური წრიდან გამოსული პიროვნება წარმოდგენილია როგორც პიროვნება, თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. მაღალი წრის გარეგნულად მშვენიერ და სათნო გმირებსა და დაბალი წრის ადამიანებს (ფატმანი, უსენი) შორის ურთიერთობა ვითარდება ურთიერთპატივისცემით და ყველანი მაღალი ადამიანური გრძნობების თანაზიარი ხდებიან. რენე ლაფონი ამბობს, რომ ფატმანის პიროვნების მაგალითზე ვლინდება რუსთაველის მიერ ადამიანის რენესანსული ღირებულებების აღიარება და დაფასება. ფატმანიც ასევე მსხვერპლია ქმრისა და საყვარლისა, რომლებმაც ბედნიერება ვერ მოუტანეს. ამასთანავე ლაფონი ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობას არ მიიჩნევს მეგობრისადმი ერთგულების სატრფოსადმი ერთგულებაზე წინ დაყენებად. მისი აზრით ავთანდილი ამ ეპიზოდშიც სიყვარულის გამარჯვებას ემსახურება; „ისე ჩანს, თითქოს მეგობრობის ფიცი სჯობნის სიყვარულის ფიცს. მაგრამ სინამდვილეში ის მას ექვემდებარება, რადგან აქ მეგობრობას მხოლოდ სიყვარული ასაზრდოებს. გარდა ამისა, პირველი რაინდის, ავთანდილის დანიშნულმა მას უთხრა – „მან მიბრძანა: მაღლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად./ შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად“ (942, 1,2) (Lafon, 1966, p. 16).

ევროპელ ქართველოლოგებს შორის სამეცნიერო კვლევების სიმრავლითა და თანმიმდევრულობით ერთ-ერთი გამორჩეულია აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის სპეციალისტის, ფრიბურგის და თბილისის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის, „რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს წევრის და რედაქციის მდივნის ბერნარ უტიეს მოღვაწეობა. ის იკვლევს შუა საუკუნეების ქართულ-ბერძნულ, ქართულ-არაბულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-სირიულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, მუშაობდა იერუსალიმში, სინის წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში, იქ პროფ. იოსტ გიპერტთან ერთად მოამზადა ქართული ხელნაწერების კატალოგი. დიდია მისი დამსახურება უმნიშვნელოვანესი ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლაში. ბატონი ბერნარი ჟურნალში „რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“ თანამშრომლობს 1972 წლიდან. მის მიერ გამოქვეყნებულ მრავალ საინტერესო ნაშრომს შორის აღსანიშნავია: „მამათა სწავლებანი, არაბულიდან თარგმნილი ქართული კრებული“ (*Les Enseignements des Pères, un recueil géorgien traduit de l'arabe*) (Outtier, 1973, p. 36-47), „ქართული ჰომელია მარხვისა და მონანიების შესახებ, რომელსაც მიაწერენ წმინდა ეფრემს“ (*Une Homélie sur le jeûne et la penitence attribuée à Saint Ephrem en géorgien*) (Outtier, 1974, p. 109-117), „ქართული ლექციონარის ასომთავრული ფრაგმენტები“ (*Fragments onciaux du lectionnaire géorgien*) (Outtier, 1976, p. 97-101), „კ. კეკელიძე და ქართული ლექციონარი“ (*K. Kekelidze et le lectionnaire géorgien*) (Outtier, 1980, p. 7-22), „სახარების ათონური რედაქციის ორი ძველი ხელნაწერი“ (*Deux anciens manuscrits de la recension athonite des évangiles*) (Outtier, 1983, p. 47-50) და ა.შ.

ბერნარ უტიემ ქართული ლექციონარის შესწავლას მიუძღვნა კიდევ რამდენიმე ნაშრომი, რაც მოწმობს მის განსაკუთრებულ ინტერესს ამ საკითხისადმი. მათ შორის:

„ძველი ქართული ლექციონარის არასრული ნიმუში (სინა, ქართ. 54)“ (*Un Témoin partiel du lectionnaire géorgien ancien (Sinai géorgien 54)*) (Outtier, 1981, p. 76-88); „ძველი ქართული ლექციონარის ერთი ახალი არასრული ნიმუში (სინა, ქართ. 12)“ (*Un Nouveau Témoin partiel du lectionnaire géorgien ancien (Sinai géorgien 12)*) (Outtier, 1983, p. 162-174).

„როგორც ცნობილია, სხვადასხვა ლიტურგიკულ კრებულში შეიძლება აღმოჩნდეს ძველი ქართული ლექციონარის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები. ასეთია მაგალითად, სინის ქართული ხელნაწერები 53, 66 და ამ შემთხვევაში განვიხილავთ სინა 54-ს“; – ამბობს ბერნარ უტიე

სტატიის „ძველი ქართული ლექციონარის არასრული ნიმუში, სინა, ქართული 54“ და მკითხველს სთავაზობს იერუსალიმის წინაბიზანტიური ლექციონარის ფრაგმენტების სრულ აღწერილობას, რომელიც შემონახულია ლიტურგიკულ კრებულში - სინა 54. ეს აღწერილობა ადრე გაკეთებული აქვთ ალ. ცაგარელს, ნ. მარს, ჟ. გარიტს, მაგრამ ბერნარ უტიემ საჭიროდ მიიჩნია მისი ხელახლა გადამოწმება ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის მიკროფილმის მიხედვით. სტატიის ავტორი ასე აფასებს ამ ფრაგმენტების მნიშვნელობას:

„ეს ხელნაწერი გვაწვდის საინტერესო მონაცემებს ლექციონარის შესახებ; ის გამოდგება ამ ტექსტის გამოსაცემად. ინტერესის მეორე საგანია ამ ხელნაწერში მოცემული ერთ-ერთი პირველი „ლოცვანი“, რომელიც ჩვენი სამოგზაურო ლოცვანების ანალოგია. ის მართლაც მოიცავს, მთავარი სადღესასწაულო დღეებისათვის ყველაფერს, რაც საჭიროა წირვისთვის, როგორც მუდმივ, ასევე ცვალებად ნაწილებს. X საუკუნეში და უეჭველია, IX საუკუნიდან, (სინა ქართ, 53), პალესტინაში შეკრიბეს ლექციონარის ნაწილები იადგარის საფუძველზე (რადგან ხარება არის თავში), იმისათვის, რომ ჰქონოდათ ერთი პატარა ფორმატის ადვილად

მოსახმარი წიგნი მოძღვარი ბერისთვის, რომელიც ცხოვრობს მარტო ან სამძმოს პატარა ჯგუფთან ერთად. ძველი იადგარის შესწავლისას არ უნდა დაივიწყონ ეს ხელნაწერი, რომელიც მიუხედავად დაზიანებისა, მოიცავს კიდევ ბევრ საინტერესო რამეს, ჩვენს საყურადღებოდ“ (Outtier, 1981, p. 88)

ბერნარ უტიე ამჟამად განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას ძველ ქართულ ხელნაწერებზე, გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი სიახლეების შემცველი ნაშრომები ევაგრე პონტოელის, თეოდორე სტუდიელის, ირინეოს ლიონელის თხზულებათა ქართული თარგმანებისა და უძველესი ქართული ლექციონარის შესახებ.

ნაშრომში – „მნიშვნელოვანი აღმოჩენა: ევაგრე პონტოელის ორი ტრაქტატი ქართულად მაქსიმე აღმსარებლის სახელით“ (*L'Importante découverte de deux traités d'Evagre le Pontique sous le nom de Maxime le Confesseur en géorgien*) (Outtier, Géhin, 2022, p. 393-416) ბერნარ უტიე (პოლ ჟენთან თანამშრომლობით) იკვლევს 2017 წელს ექვთიმე კოჭლამაზაშვილის მიერ გამოქვეყნებულ (ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, X, თბილისი, 2017) ევაგრე პონტოელის ორ ტრაქტატის ქართულ თარგმანებს – „*8 უკეთური გულისზრახვის შესახებ*“; „*ანტიერეტიკოსი*“ და წინ დართულ შესავალ წერილს (17 ხელნაწერი, ნაცვლად კ. კეკელიძის მიერ დასახელებული სამი ხელნაწერისა), რომელიც მაქსიმე აღმსარებლის სახელით არის მოწოდებული. ეს ქართული თარგმანი სავარაუდოდ ექვთიმე ათონელს ეკუთვნის.

ბერნარ უტიემ და პოლ ჟენმა შეისწავლეს შესავალი წერილი (წმ. მაქსიმეს პასუხები მამა თალასიოსისადმი). მათ დაადგინეს ამ წერილის შედგენილობა და წარმომავლობა, კერძოდ, გააარკვიეს, რომ იგი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. ევაგრე პონტოელის წერილი 4 (Lettre 4); 2. ინტერპოლაცია თეოდორე სტუდიელის „პატარა კატეხიზისიდან“ (Petite catéchèse 56); 3. „ანტიერეტიკოსის“ პროლოგი საკუთრივ (Prologue). აქედან, ექვ. კოჭლამაზაშვილმა დაადგინა მხოლოდ მესამე ნაწილის ანუ საკუთრივ „ანტიერეტიკოსის“ პროლოგის წარმომავლობა. პოლ ჟენი და ბერნარ უტიე არ იზიარებენ მის ვარაუდს წინა ორი შემადგენელი ნაწილის შესახებ. შესავალი წერილი ქართულიდან ფრანგულად თარგმნილია ბერნარ უტიეს მიერ, საერთოდ, ნაშრომში ქართულიდან თარგმანი ეკუთვნის მას, ხოლო სირიულიდან და ბერძნულიდან – პოლ ჟენს.

დასკვნაში ავტორები, ბერნარ უტიე და პოლ ჟენი დაწვრილებით და არგუმენტირებულად ხსნიან თავიანთ მოსაზრებას, რომ ევაგრე პონტოელის აღნიშნული ორი ტრაქტატის თარგმანის მოცემული რედაქცია შეიძლება ეკუთვნოდეს ექვთიმე მთაწმინდელს ან ვინმეს მისი წრიდან. დასახულია კვლევის შემდგომი მიმართულება.

ანტიორიგენულ კრებულსა და გელათური ბიბლიის კატენებში აღმოჩენილი ირინეოს ლიონელის ქართული ციტატების ანალიზი და ფრანგული თარგმანია წარმოდგენილი ბერნარ უტიეს გამოკვლევაში: „*ირინეოსის მოულოდნელად: ქართული ციტატები ირინეოსის თხზულებებიდან*“

(*Irénée Inattendu: citations en géorgien*) (Outtier. 2022, p. 273-279), რომელიც დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულში „ირინეოს ლიონელი, შემოკრების შესახებ მოძღვრების თეოლოგია“ (პარიზი, გამომცემლობა „სერფი“, 2022, გამოკვლევები შეკრიბეს გიომ ბადიმ და მარი შეეზმა (Théologie historique 132, Irénée de Lyon, théologien de l'Unité. Etudes réunies par Guillaume Bady et Marie Chaieb, p. 273-279, Editions du Cerf, Paris 2022).

წიგნში შევიდა რომის გრიგორიანულ უნივერსიტეტში ირინეოსის მოძღვრებისადმი მიძღვნილი 2019 წლის სამეცნიერო სესიის და ლიონის კათოლიკური ინსტიტუტის 2020 წლის საერთაშორისო სამეცნიერო კოლოკვიუმის მასალები.

2021 წელს გამოქვეყნდა იოსტ გიპერტის და ბერნარ უტიეს ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი სათაურით „*უძველესი ქართული ფსალმუნის – წინასწარი ანგარიში*“ (გიპერტი, უტიე, 2021, გვ. 41-65). იგი წარმოადგენს წინასწარ მოკვლევას ფსალმუნის ფრაგმენტებისა, რომელთაც შეიცავს სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერების ახალი კოლექციის ორი პალიმფსესტი: Sin. Géorg. NF 84 და 90. ეს არის ორმაგი პალიმფსესტები. გამოვლინდა დიდი სიახლე ენობრივი თვალსაზრისით: ფრაგმენტებში წარმოდგენილია ხანმეტი და ჰემეტი ფორმების ზუსტად თანაბარი რაოდენობა, კერძოდ, თითოეულში 29. მსგავსი მოვლენა არ დადასტურებულა სხვა ხელნაწერებში. ამ გარემოებამ საშუალება მისცა ავტორებს, ი. გიპერტს და ბერნარ უტიეს, ვარაუდი გამოეთქვათ ფსალმუნის გადაწერის პერიოდის შესახებ: ფსალმუნი, როგორც ჩანს, გადაწერეს გარკვეული დროის შემდეგ სინას მთის ლექციონარისა, ვინაიდან ამ უკანასკნელში ჰემეტი ფორმები საკმაოდ იშვიათია ხანმეტ ფორმებთან შედარებით.

პალიმფსესტური ფსალმუნის ეს აქამდე უცნობი ფორმა, მკვლევრების აზრით, აჩენს მრავალ კითხვას ფსალმუნის ქართული თარგმანების დიდ ისტორიაში.

იოსტ გიპერტი და ბერნარ უტიე ამ ნაშრომს უძღვნიან მზექალა შანიძეს, რომლის მიერ ფსალმუნის ტექსტის გამოცემისა და გამოკვლევის გარეშე მათი კვლევა შეუძლებელი იქნებოდა.

ბერნარ უტიეს მიმოხილვები და რეცენზიები საქართველოში გამოქვეყნებული ქართული ფილოლოგიური, ისტორიული, სახელოვნებო თუ ფილოსოფიური ლიტერატურის სიახლეების შესახებ „*რევიუ დე კარტველოლოჟი, ბედი ქართლისას*“ თითქმის ყველა ტომშია დასტამბული 1972 წლიდან.

ლიტერატურულ ურთიერთობათა ძირითადი ფორმა, თარგმანი „*რევიუ დე კარტველოლოჟის*“ ფურცლებზე წარმოდგენილია სერგი წულაძის და გასტონ ბუაჩიდის მიერ შესრულებული ქართული პოეზიისა და პროზის საუკეთესო თარგმანებით, ასევე რენე ლაფონისა და ტატიანა ავალიანის რამდენიმე თარგმანით.

1978 წლის 36-ე ტომში გამოქვეყნდა „*შუშანიკის წამების*“ და გალაკტიონ ტაბიძის „*ლურჯა ცხენების*“, სერგი წულაძისეული თარგმანები. მომდენო 1979 წელს კი იმ დროისათვის ჯერ კიდევ გამოუყენებელი ნაწყვეტები ქართული პოეზიის ანთოლოგიიდან, რომელიც მოიცავდა პერიოდს ძველი ქართული ლიტერატურიდან მეოცე საუკუნის უახლეს ლექსებამდე. მაგრამ ჟურნალში დაიბეჭდა მხოლოდ ბესიკის, ილია ჭავჭავაძის, პაოლო იაშვილის, გალაკტიონის, ტიცციანის, სიმონ ჩიქოვანის გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, ოთარ და ტამაზ ჭილაძეების და სხვათა ლექსები.

1976-1978 წლების ტომებში წარმოდგენილია რამდენიმე თავი ვეხიტყაოსნიდან გასტონ ბუაჩიდის თარგმანით. ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი ბერნარ უტიე აღნიშნავს, რომ

„გასტონ ბუაჩიდემ რუსთაველის კატრენები გარითმა თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში მიღებულ რითმათა სახესხვაობის გათვალისწინებით და თანაც რარიგ ვირტუოზულად! ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ შრომას მოითხოვს ასეთი შედეგის მიღწევა, მაგრამ ამოდ როდი დამშვრალა მთარგმნელი: გარდა იმ სიმდიდრისა, რომელიც თარგმანს დედანთან აახლოვებს, მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს, რომ რითმა რიტმის ერთი შემადგენელი ნაწილია, მისი ერთგვარი პუნქტუაცია. ვფიქრობთ, ასეთ წარმატებას საფუძვლად უდევს მთარგმნელის მიერ რუსთაველის მსოფლმხედველობის გათავისება და იმავდროულად ამ ფილოსოფიის ცხოვრებისეული, პრაქტიკული მნიშვნელობისადმი ღრმა რწმენა.

გასტონ ბუაჩიძეს სჯერა რომ ადამიანები ვერაფერს მიაღწევენ ერთმანეთისათვის თავგანწირვისა და ერთგულების გარეშე, თუ გულით არ ირწმუნებენ რუსთაველის სიტყვებს: „რასაც გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ (უტიე, 1978, გვ. 4).

მნიშველოვანია გასტონ ბუაჩიძის მიერ ჟურნალში გამოქვეყნებული რეცენზიები ფრანგული პოეზიის ქართული თარგმანების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის ქართველი მთარგმნელები მიზნად ისახავდნენ ფრანგული ტექსტის ქართულ სინამდვილეთან ადაპტირებას, მეოცე საუკუნეში შეწყდა ეს პრაქტიკა, მაგრამ მთარგმნელები ქვეცნობიერად მაინც ვერ ასცდნენ ძველ მეთოდებს. გასტონ ბუაჩიძე ამჩნევს ქართული პეიზაჟის, ფსიქოლოგიისა თუ პერსონაჟთა ქცევის ელემენტებს ვიიონის, ბოდლერის, ვერლენისა და მალარმეს ლექსების ქართულ თარგმანებში, რომლებიც შესრულებულია დავით წერედიანის, გივი გეგეჭკორის, ველერიან გაფრინდაშვილის მიერ, ასევე გალაკტიონის მიერ თარგმნილ პოლ ვერლენის ერთ ლექსში სათაურით „ტყეებში“ (Dans les Bois). ეს თემა განხილულია გ. ბუაჩიძის სტატიაში სათაურით: „საქართველო ქვეტექსტში: ქვეცნობიერის ელემენტები ფრანგული პოეზიის ქართულ თარგმანებში (La Géorgie dans le sous-texte: éléments du subconscient dans les traductions géorgiennes de poésie française (Bouatchidze, 1978, p. 213-219).

გამოკვლევაში „სიმღერა როლანზე“ ქართულად“ (La “Chanson de Roland” en géorgien“) (Bouatchidze, 1976, p. 150-172) გასტონ ბუაჩიძე განიხილავს შუასაუკუნეების ამ ფრანგული საგმრო ეპოპეის ორ ქართულ ვერსიას: პირველი, ავტორის შეფასებით წარმოადგენს პროზაულ ადაპტაციას, შესრულებულია ა. ჯაფარიძის მიერ, გამოიცა 1896 წელს სათაურით „გმირი როლანდი“ (გმირი როლანდი, ძველი თქმულება 3 სურათით, ტფილისი, ე. ხელამის სტამბა, 1896. თარგმანი ა. ჯაფარიძის, 38 გვ), მეორე – არის სამი პოეტის, რაჟდენ გვეტაძის, ხარიტონ ვარდოშვილის და ალექსანდრე აბაშელის მიერ შესრულებული პოეტური თარგმანი („სიმღერა როლანდზე“. მთარგმნელები რ. გვეტაძე, ხ. ვარდოშვილი, ალ. აბაშელი, რედაქცია, წინასიტყვაობა და შენიშვნები სოლომონ იორდანიშვილისა. თბილისი, ფედერაცია, 1942, 198 გვ.). მოცემულია ორივე ვერსიის ფართო და ღრმა ანალიზი. გ. ბუაჩიძე აღნიშნავს, რომ ალ. ჯაფარიძის ადაპტაცია შემოკლებულია 12 ეპიზოდამდე, ფიგურირებენ მხოლოდ მთავარი პერსონაჟები. მას ემჩნევა ფრანგული სამყაროს ქართულ სინამდვილესთან დაახლოების ტენდენცია: შემოტანილია ქართული ხასიათისა და ქართული ხალხური პოეზიის ელემენტები, არიან ქართული ზღაპრის პერსონაჟები. მიუხედავად ამისა მკვლევრის აზრით ა. ჯაფარიძის ვერსია გამოირჩევა სასაუბრო მეტყველებების სხვადასხვა სტილით და არტისტიკით. მასთან შედარებით 1942 წლის თარგმანი, უფრო „პროფესიული“ მკაცრი მიდგომის გამო კარგავს მიმზიდველობას.

გ. ბუაჩიძე პოეტურ თარგმანშიც (რ. გვეტაზე, ხ. ვარდოშვილი, ალ. აბაშელი) ხედავს ზოგიერთ უზუსტობას და გაქართულების მაგალითებს: ფრანგი რაინდების ტიტულები შეცვლილია ქართული ეკვივალენტებით, შარლემანის (კარლოს დიდის) პორტრეტი შეფერილია „ვარდბულბულიანის“ პოეზიიდან მომდინარე აღმოსავლური ფერებით; ზოგი რამ გაზვიადებულია, ზოგი კი ზედმეტად განზოგადებული და ფერდაკარგული. მიუხედავად შენიშვნებისა, გასტონ ბუაჩიძეს ფრანგული ეპოპეის – „სიმღერა როლანზე“ განხილული ვერსიები მიაჩნია მნიშველოვან მოვლენად ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების განვითარების გზაზე.

აღორძინების ეპოქის დიდი ფრანგი პოეტის, პიერ დე რონსარის ოთხი ლექსის („მე შენს მკლავებში რომ მომისწროს სიკვდილმა უცებ...“ (Si je trépassé entre tes bras, Madame) ტოროლა“ (A l'Alouette), „გასტინის ტყეს“ (A la forêt de Gastine), „თითისტარი“ (La Quénouille) ქართული თარგმანების გასტონ ბუაჩიძისეული ანალიზი ნათლად გვიჩვენებს თუ რამდენად რთული და ფაქიზია მისი აფექტებისაგან თავისუფალი ლექსების გარეგნულად მარტივი სემანტიკის სწორად აღქმა და გადმოტანა სხვა ენაზე. სონეტში „მე შენს მკლავებში რომ მომისწროს სიკვდილმა უცებ...“ (გრიგოლ აბაშიძის თარგმანი) შეყვარებული ქალის მკლავებში სიკვდილის თემა წარმოდგენილია გრაციოზული ვარიაციით, ნახევრად სერიოზულად და ნახევრად სახუმაროდ. პოეტს ომში ბრძოლით მოპოვებული დიდებას და სიკვდილს ურჩევნია მშიშარასავით შეყვარებულის მკლავებში სიკვდი-

ლი. დახვეწილი ფორმით და შეფარვით არის გადმოცემული სიყვარულის მთელი ფილოსოფია. გასტონ ბუაჩიძე ამბობს, რომ მთარგმნელი, გრიგოლ აბაშიძე თანმიმდევრულად მიჰყვება ორიგინალის შინაარსს და სახეობრივ აგებულებას, დაცულია სონეტის საერთო ატმოსფერო. შენარჩუნებულია ასევე რითმების განაწილების სქემა კატრენებში aabba, ტერცეტებში ccdeed. მაგრამ გ. ბუაჩიძეს მიაჩნია, რომ თარგმანში კასანდრას სახელის გამოტოვებით ეს სონეტი ხდება უფრო აბსტრაქტული, ადარ არის სრული რითმა კასანდრას და ალექსანდრე დიდის სახელებს შორის, რაც ქართულში შეუძლებელია; ამის შედეგად არ ჩანს პოეტის მიერ კასანდრას ღირსების ალექსანდრე დიდის ღირსებასთან გათანაბრება, მარტივდება ფრანგული სონეტის ფსიქოლოგიური მონახაზი, რაც არ არის სასურველი.

გივი გეგეჭკორს ეკუთვნის რონსარის სამი ლექსის – „ტოროლა“ „„გასტინის ტყეს“ და „თითისტარი“ ქართული თარგმანები, რომელშიც გასტონ ბუაჩიძე ამჩნევს ტექსტის ქართულ მსოფლმხედველობასთან ადაპტირების შემთხვევებს.

მესამე სტროფი ოდისა „ტოროლა“ ეძღვნება სიყვარულს, ტოროლა თავის სიყვარულზე ყვება, აქ იხატება ცაში მოძრავი ტოროლას სურათი მისი შუქ-ჩრდილებით, ეს ვიზუალური ელემენტი დამახასიათებელია ფრანგული ხელოვნებისთვის, მაგრამ ეს გრაფიკული გამოსახულება თარგმანში არ აისახა. ამ სტროფის მესამე ტაქტში მულოდნელად ტოროლა ციდან მჭერმეტყველებით მიმართავს დედამიწას – „*Tu fais en l'air mille discours...*“ (შენ ზეცაში ათასი სიტყვით გამოდიხარ...), მაგრამ გივი გეგეჭკორს შესატყვისად ქართული სადღეგრძელო შეურჩევია. გასტონ ბუაჩიძე ამბობს:

„ტოროლას ამგვარი „დისკურსი“ ნაწილობრივ შემეცნებითია და ნაადრევად კარტეზიანული, ეს არის რონსარის პოეზიის რაციონალური ელემენტი. ალბათ ძნელია ქართველი მკითხველისთვის ამის ახსნა. ამის გამო ლუარას ნაპირების სახეშეცვლილი ტოროლა, თითქოს ალაზნის ხეობის ტოროლას ერთ-ერთი დობილია და უემოციო სიტყვის ნაცვლად მგზნებარე სადღეგრძელოს ამბობს, როგორც ქართულ სუფრასთან: „დღეს ადღეგრძელებ და ცის კაბადონს...“ ( Bouatchidze, 1977, p. 193).

გასტონ ბუაჩიძე იმავდროულად ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ აბაშიძისა და გივი გეგეჭკორის მიერ შესრულებული, ზემოთ დასახელებული თარგმანების საინტერესო მიგნებებზე, სალექსო ფორმისა და მხატვრული ქსოვილის პოეტურ ასპექტებზე და დადებითად აფასებს მათ.

„*რევიუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას*“ 1976 წლის 24-ე ტომში გამოქვეყნდა გასტონ ბუაჩიძის საინტერესო მიმოხილვა – „*ბიჭვინთის დიალოგი*“ (*Le Dialogue de Pitsounda*) (Bouatchidze, 1976, p. 375-376) ფრანგ მწერლებსა და ქართველ საბჭოთა მწერლებს შორის შეხვედრის შესახებ, რომელიც გაიმართა ბიჭვინთაში 1975 წლის 7-10 ივნისს. მრგვალ მაგიდას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი ნიკოლოზ ფედორენკო, მონაწილეობდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი თენგიზ ბუაჩიძე, გურამ ასათიანი, ნოდარ დუმბაძე, ივანე თარბა, ვლადიმერ მაჭავარიანი, იოსებ ნონეშვილი, ბესარიონ ჟდენტი, ბაგრატ შინკუბა, სერგი წულაძე და მიმოხილვის ავტორი გასტონ ბუაჩიძე. ფრანგი მწერლები საბჭოთა კოლეგების მოწვევით ჩამოვიდნენ მოსკოვსა და საქართველოში 1975 წლის ივნისში და დაგეგმეს ბიჭვინთაში შეხვედრა. სტუმრებმა დაათვალიერეს ბიჭვინთა, გაგრა, ახალი ათონი, სოხუმი, მიწვეული იყვნენ კოლმეურნეებთან შეხვედრაზე, დაესწრნენ ქართული ფილმების და ახალი ამბების ჩვენებას.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს შეხედულებები სამწერლო შემოქმედებითი გამოცდილების, კულტურული ტრადიციების ნაწარმოებებში ასახვისა და მხატვრული ნაწარმოებების აღქმის საკითხებზე. ისაუბრეს საქართველოში ფრანგული კულტურის და საფრანგეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის გასატარებელ ღონისძიებებზე.

მიმოხილვაში გასტონ ბუაჩიძე მოკლედ გადმოსცემს მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილე თითოეული ფრანგი მწერლის სიტყვას და ინფორმაციას მათ შესახებ.

ემანუელ რობლესმა დაახასიათა კოლექცია „ხმელთაშუა ზღვა“ , რომელსაც მისი ხელმძღვანელობით გამოსცემს „გამომცემლობა სეი“ (Editions du Seuil) 1952 წლიდან. კოლექცია ფრანგ მკითხველს აცნობს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების საუკეთესო ნაწარმოებებს. აქვე გ. ბუაჩიძეს მოჰყავს რობლესის სიტყვები: „ასე გამოიცა ალჟირელი მწერლის მოჰამედ დიბის პირველი წიგნი“. და „როცა ვიცნობთ ერთმანეთს გვიყვარს კიდევ ერთმანეთი“, და „გვჭირდება ერთმანეთის უკეთესად გაცნობა“.

ემანუელ რობლესი მრავალი რომანის და თეატრალური პიესის ავტორია, (მათ შორის ერთ-ერთი რომანის თემა ანტიფაშიზმი), ცნობილია მისი წიგნი „მძაფრი სეზონები“ (*Saisons violentes*). ესპანურიდან თარგმნილი აქვს სერვანტესი, მიგელ ერნანდესი, ფედერიკო გარსია ლორკა, მიგელ დე უნამუნო.

პოეტმა ჟაკ რუბომ მწერლებს გააცნო ჟურნალის „ცვლილებისათვის“ (*Change*) ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფის საქმიანობა. ისაუბრა თავის პოეზიაში იაპონური კულტურის გამოძახილის შესახებ.

მიშელ ბატაი განათლებით არქიტექტორია. მან გაიხსენა დიდ ფრანგ არქიტექტორთან, ლე კორბუზიესთან ურთიერთობა. ბატაის წიგნის „საშობაო ნაძვის ხე“ (*L'Arbre de Noël, 1967*) მოსკოვში გამოიცა 1974 წელს, როგორც მოსწავლეების საკითხავი ლიტერატურა. მას ეკუთვნის ასევე რომანები „პატრიკი“ (*Patrick*), „მზის მსვლელობა“ (*La Marche du soleil*) და ახალი რომანი „ფერფლი ზღვაზე“ (*Cendres sur la mer*), რომლის ბოლო კორექტურა მოსკოვში წამოსვლის წინ გააკეთა.

ჟან პელეგრის შემოქმედების მრავალი წელი დაკავშირებულია ალჟირთან. მისი აზრით მთავარია „გაუგო სხვას და არ უღალატო საკუთარ ბუნებას“.

ბერნარ კლაველის, გონკურის ჟიურის წევრის შემოქმედება ცნობილია საფრანგეთში და მის საზღვრებს მიღმა. მიმოხილვაში მოტანილია ანდრე მორუას სიტყვები კლაველის შესახებ: „დღევანდელ რომანების ავტორთა შორის ბერნარ კლაველი ერთ-ერთია ვისგანაც მეტს მოველო. ემოციის ხარისხით, თხრობის მიმდინარეობით, ის მაგონებს ისეთ დიდ რუს მწერლებს როგორც არის ჩეხოვი.“

ანდრე სტილის შემოქმედება ცნობილია საჭოთა მკითხველისთვის, ის რამდენჯერმე იყო საქართველოში. მისი ახალი ნაწარმოებებია რომანი „ანდრე“ (André, მოქმედება მიმდინარეობს მალაროელთა სოფელში); ორი რომანი, გაერთიანებული ერთი პერსონაჟით – „მშვენიერი როგორც ადამიანი“ (Beau comme un homme) და „ვინ? (Qui?), ასევე ნოველების კრებული „ყვავილები შეცდომით (გამომცემლობა „ედისიონ ჟიარ“)(*Fleurs par erreur, Editions Julliard*). ანდრე სტილის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილია მრავალი ფრანგული სატელევიზიო ფილმი. „მე ვცდილობ რაც შეიძლება უკეთესად გავიგო სხვადასხვა ლიტერატურული ტენდენცია და „განსხვავებული კრედოს მქონე მწერლები“, – თქვა ანდრე სტილმა ბიჭვინთაში.

ბიჭვინთის კოლოკვიუმის დასასრულს ფრანგმა და საბჭოთა მწერლებმა, – ამბობს გასტონ ბუაჩიძე, – გამოთქვეს ასეთი კონტაქტების გაგრძელების და გაღრმავების სურვილი, რომ ემსახურონ მშვიდობას და ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

დასკვნის სახით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური საკითხებისაგან კატეგორიულად ჩამოშორებამ და საქმიანობის მიზნად მხოლოდ ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის პრობლემატიკის მეცნიერული კვლევის დასახვამ, კალისტრატე და ნინო სალიების სამეცნიერო ჟურნალის „რევია დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისა“ რედაქციას ქართველ მეცნიერებთან და საზღვარგარეთის ქართველოლოგებთან მჭიდრო კავშირის დამყარების საშუალება მისცა; ქვეყნდებოდა მასალები ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების შესახებ და რაც მთავარია, გვერდიგვერდ იბეჭდებოდა მათი ნაშრომები, კერძოდ, ალ ბარამიძის, აკაკი შანიძის, მზექალა შანიძის, შალვა ამირანაშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, მიხეილ ჩიქოვანის, ელენე მეტრეველის, როინ მეტრეველის, არნოლდ ჩიქობავას, ოთარ ლორთქიფანიძის და სხვათა გამოკვლევები, ისე როგორც ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, იტალიელი, ნორვეგიელი, ბელგიელი და ამერიკელი ქართველოლოგებისა. დროთა განმავლობაში ასეთი ნაყოფიერი და მაღალი დონის ურთიერთობის

დამყარება ჟურნალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გახდა. ის აისახა მათ მიმოწერაში, რასაც მოჰყვა უცხოელი ქართველოლოგების მივლინებები საქართველოში.

ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერების თამნამშრომლობა კარგად ჩანს ილია აბულაძესა და ჟერარ გარიტს, ჰანს ფოგტს, კალისტრატე სალიასა და სერგო თურნავას შორის მიმოწერაში, ასევე ელენე მეტრეველის და კალისტრატე სალიას, ჟერარ გარიტის, ჰოვარდ არონსონის, იულიუს ასფალგის, რობერტ ბლეიკის, ბერნარ უტიეს, მიშელ ვან ესბროკის და სხვა მეცნიერების კორესპონდენციებში.

1968 წლის 3 ნოემბრის წერილში ელენე მეტრეველი ატყობინებს ჟერარ გარიტს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში მიიღეს მისი ნაშრომები და ჰპირდება ინსტიტუტის მიერ გამოცემული ნაშრომების მიწოდებას (მეტრეველი, 2007, გვ. 89). 1970 წლის წერილით ელ. მეტრეველი ადასტურებს ჟერარ გარიტისაგან ილია აბულაძის ბიბლიოგრაფიის მიღებას და უზიარებს ინსტიტუტის მიმდინარე სამუშაოებს: შეუდგენენ „მრავალთავების“ გამოსაცემად მომზადებას და სინური კოლექციის ლიტურგიკული ძეგლების ვრცლად აღწერას.

კორესპონდენციები ელენე მეტრეველს და კალისტრატე და ნინო სალიებს შორის (პირადი არქივები, 2007, გვ. 296-313) ადასტურებს მათ შორის აქტიურ მეცნიერულ ურთიერთობას და ერთმანეთის მიმართ თანადგომას. 1972 წლის 29 აპრილის წერილში (№2216) კალისტრატე სალია ატყობინებს ელ. მეტრეველს, რომ „რევუ დე კარტველოლოჟი“ გამოვა 20 მაისს, რომელშიც იქნება მისი სტატია ქართული ლიტერატურის შესახებ; სთხოვს გაუგზავნოს „ძველი აღთქმის აპოკრიფები“ და ისიდორე გვარჯალაძის და ეთერ ლებანიძის ქართულ-ფრანგული ლექსიკონი; კ. სალიას 1972 წლის 1 ივნისის წერილი (№2217) გვამცნობს, რომ გამოიცა „მცირე ფორმატის წიგნი „ცნობები საქართველოს შესახებ“, რომელშიც მან გათვალისწინა ელ. მეტრეველის ყველა შენიშვნა. სთხოვს სწრაფად მიაწოდოს ა. გამყრელიძის წერილი ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობის შესახებ; 1972 წლის 27 აგვისტოს წერილში (2218) კ. სალია სთხოვს ელ. მეტრეველს დააჩქაროს ა. გამყრელიძის სტატიის მიწოდება, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტს ეხება. კალისტრატე ბეჭდავს ელენეს წერილს ჯვაროსნებზე და სთხოვს შემოკლებულ ვარიანტს. კალისტრატე აპირებს, ინგლისურად ათარგმნინოს „ცნობები საქართველოს შესახებ“ (*Notice sur la Georgie*), რადგან ამ წიგნს დიდი რეზონანსი ჰქონდა. კალისტრატე აცნობებს ე. მეტრეველს, რომ ბერნარ უტიე ამზადებს საინტერესო წერილებს „რევუ დე კარტველოლოჟისთვის“ და ასევე სთხოვს მისწეროს მიშელ ვან ესბროკს, რომ გააგრძელოს მუშაობა ქართველოლოგიაში. 1974 წლის 20 მარტის წერილში (№2235) კ. სალია სინანულს გამოთქვამს იმ თავდასხმების გამო, რომელსაც „რევუ დე კარტველოლოჟის უწყობენ“ პარიზელი ქართველები (ლ. ზურაბიშვილი...), ამცნობს, რომ მიიღო „მრავალთავის“ მე-2 და მე-3 ტომები და ილია აბულაძის „ქართული წერის ნიმუშები“.

კალისტრატე და ნინო სალიების სამეცნიერო ჟურნალი „რევუ დე კარტველოლოჟი“ შეიძლება ითქვას იშვიათი მოვლენაა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, რომელიც 28 წლის (1957-1984) განმავლობაში წარმატებით ემსახურა ქართულ-ევროპული ლიტერატურულ-კულტურული საკითხების კვლევას და წარმოაჩინა ქართული ცივილიზაციის მნიშვნელობა ევროპული კულტურის არეალში. იგი რჩება მისაბამ მაგალითად მომავალი თაობებისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- გიპერტი, ი. უტიე, ბ. (2021). უძველესი ქართული ფსალმუნები – წინასწარი ანგარიში: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 27, 41- 65, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- გმირი როლანდი. (1896). ძველი თქმულება 3 სურათით, თარგმანი ა. ჯაფარიძისა, ტფილისი: ე. ხელაძის სტამბა.
- თურნავა, ს. (1978). საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- თურნავა ს. (1999). XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბილისი.
- მეტრეველი, ელენე (2007). პირადი არქივების აღწერილობა 1, თბილისი: „არტანუჯი“.
- რონსარი, პ. (1983). რჩეული ლექსები, თარგმანი ფრანგულიდან გრიგოლ აბაშიძისა, თბილისი: „მერანი“.

- სიმღერა როლანდზე (1942). მთარგმნელები რაჟდენ გვეტაძე, ხარიტონ ვარდოშვილი, ალ. აბაშელი, რედაქცია, წინასიტყვაობა და შენიშვნები სოლომონ იორდანიშვილისა, თბილისი „ვედერაცია“.
- უტეი, ბ. (1978). ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანები, ლიტერატურული საქართველო, 22(2125), 4, 26 მასი, თბილისი.
- ფეიქრიშვილი, ჟ. (2012). მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის(წიგნი პირველი), თბილისი: „უნივერსალი“.
- ფრანგი პოეტები (1984). ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა, თბილისი: „მერანი“.
- Bouatchidze, G. (1976). La Chanson de Roland en géorgien, Revue de Kartvélogie BediKartlisa, 34, 150-172, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Bouatchidze, G. (1976). Le Dialogue de Pitsounda, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 34, 375-376, Paris: publiée avec le concours du CMRS.
- Bouatchidze, G. (1977). Quelques poésies de Ronsard en géorgien, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 35. 187-201, Paris : publiée avec le concours du CNRS.
- Bouatchidze, G. (1978). La Géorgie dans le sous-texte: éléments du subconscient dans les Traditions géorgiennes de poésie française, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 36. 213-219, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Lafon, R. (1966). L'Art du récit dans Le Chevalier à la Peau de Tigre: l'épisode de Phatmane, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 21-22, 16, Paris: publiée avec le con-Cours du CNRS.
- Lafon, R. (1972). Hans Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, Universitetsforlaget, 1971, 279 p., Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 29-30, 333-335, Paris: Publiée avec le concours du CNRS.
- Lafon, R. (1974). Akaki Chanidze, Kartuli enis gramatikis sapudzvlebi, Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa, 32, 292-294, Paris : Publiée avec le concours du CNRS.
- Lafon, R. Vogt, H et al. (1974). Le Vingt-cinquième anniversaire de la fondation de Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa, 32, 11-12, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Mahe, J.-P. (1982). K. Salia, Histoire de la nation géorgienne(ed. N.Salia, 8, rue Berlioz)Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa, 40, 400-402, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Outtier, B. (1981). Un Témoin partiel du lectionnaire géorgien ancien(Sinai géorgien 54), Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa, 39, 76- 88, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Outtier, B. (2022). L'Importante découverte de deux traités d'Evagre le Pontique sous le nom de Maxime le Confesseur en géorgien – Le Muséon, 135(3-4), 393-416, Doi: 10.2143/MUS. 135.3.3291201, Louvain-la Neuve.
- Outtier, B. (2022). Irénée Inattendu: citations en géorgien, dans: Théologie historique 132, Irénée de Lyon, théologien de l'Unité. Etudes réunis par Guillaume Bady et Marie Chaieb, p. 273-279 ,Paris : , Editions du Cerf.
- Salia, K. (1959). Le Professeur Gérard Garitte, Prix Francqui, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 6-7, 3, Paris : publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1972). La Littérature géorgienne des origines à nos jours, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 29--30, 205-239, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1973). La Caucologie : Aux Congres scientifiques internationaux, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 31, 7-8, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Salia, N. (1973). Documents portugais sur le martyr de la Reine Ketevan de Géorgie, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 31, 65-70, Paris : publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1975). Bref aperçu sur les rapports géorgiano-byzantins, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 33, 119-121, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1980). Histoire de la nation géorgienne, Paris : ed. Nino Salia, 8, rue Berlioz.
- Salia, K. (1980). Marie-Félicité Brosset à l'occasion du centenaire de sa mort(1802-1880), Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 38, 7-22, Paris: publiée avec le concours du CNRS.

## References

- Bouatchidze, G. (1976). La Chanson de Roland en géorgien, Revue de Kartvélogie BediKartlisa, 34, 150-172, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Bouatchidze, G. (1976). Le Dialogue de Pitsounda, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 34, 375-376, Paris: publiée avec le concours du CMRS.
- Bouatchidze, G. (1977). Quelques poésies de Ronsard en géorgien, Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa, 35. 187-201, Paris: publiée avec le concours du CNRS.

- Bouatchidze, G. (1978). La Géorgie dans le sous-texte: éléments du subconscient dans les Traditions géorgiennes de poésie française, *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 36. 213-219, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Giperti, I., Utié, B. (2021). Udzelesi Kartuli Psalmuni – ts'inasts'ari angarishi: Mravaltavi, Pilologiur-ist'oriuli dziebani. [The Oldest Georgian Psalter – a preliminary Account, Mravaltavi, philological and historical researches, 27, 41-45]. Tbilisi: Korneli kekelidze Georgian national Centre of Manuscripts.
- Gmiri Rolandi. (1896). Dzveli tkmuleba sami suratit, targmani A.Japaridzisa. [Hero Roland, old Saying with 3 pictures, translated by A.Japaridze]. Tbilisi: Kheladze Printing House.
- Lafon, R. (1966). L'Art du récit dans Le Chevalier à la Peau de Tigre: l'épisode de Phatmane, *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 21-22, 16, Paris: publiée avec le con-Cours du CNRS.
- Lafon, R. (1972). Hans Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, Universitetsforlaget, 1971, 279 p., *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 29-30, 333-335, Paris: Publiée avec le concours du CNRS.
- Lafon, R. (1974). Akaki Chanidze, Kartuli enis gramatikis sapudzvebi, *Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa*, 32, 292-294, Paris : Publiée avec le concours du CNRS.
- Lafon, R. Vogt, H et al. (1974). Le Vingt-cinquième anniversaire de la fondation de Bedi Kartlisa, *Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa*, 32, 11-12, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Mahe, J.-P. (1982). K. Salia, Histoire de la nation géorgienne(ed. N.Salia, 8, rue Berlioz)*Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa*, 40, 400-402, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Outtier, B. (1981). Un Témoin partiel du lectionnaire géorgien ancien(Sinaï géorgien 54), *Revue de Kartvélogie, Bedi Kartlisa*, 39, 76- 88, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Outtier, B. (2022). L'Importante découverte de deux traités d'Evagre le Pontique sous le nom de Maxime le Confesseur en géorgien – Le Muséon, 135(3-4), 393-416, Doi: 10.2143/MUS. 135.3.3291201, Louvain-la Neuve.
- Outtier, B. (2022). Irénée Inattendu: citations en géorgien, dans: Théologie historique 132, Irénée de Lyon, théologien de l'Unité. Etudes réunis par Guillaume Bady et Marie Chaieb, p. 273-279 ,Paris : , Editions du Cerf.
- Peikrshvili, Zh. (2012). Masalebi sazghvargaretuli kartvelologiis ist'oriisatvis (ts'igni p'irveli) [Materials for the history of Georgian studies abroad (book one)], Tbilisi: Universal.
- P'iradi arkivebis aghts'eriloba, 1, Elene Met'reveli. (2007). [Description of personal archives 1, Helen Metreveli]. Tbilisi: Art'anuji.
- Prangi p'oetebi. (1984). Prangulidan targmna Givi Gegech'k'orma. [French poets translated into Georgian by Givi Gegechkori]. Tbilisi: Mérani.
- Ronsari P. (1983). Rcheuli leksebi, targmani prangulidan Grigol Abashidzisa. [Selected poems, Translated from French by Grigol Abashidze]. Tbilisi: Mérani.
- Salia, K. (1959). Le Professeur Gérard Garitte, Prix Francqui, *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 6-7, 3, Paris : publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1972). La Littérature géorgienne des origines à nos jours, *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 29--30, 205-239, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1973). La Caucologie : Aux Congrès scientifiques internationaux, *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 31, 7-8, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Salia, N. (1973). Documents portugais sur le martyr de la Reine Ketevan de Géorgie, *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 31, 65-70, Paris : publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1975). Bref aperçu sur les rapports géorgiano-byzantins, *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 33, 119-121, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Salia, K. (1980). Histoire de la nation géorgienne, Paris : ed. Nino Salia, 8, rue Berlioz.
- Salia, K. (1980). Marie-Félicité Brosset à l'occasion du centenaire de sa mort(1802-1880), *Revue de Kartvélogie Bedi Kartlisa*, 38, 7-22, Paris: publiée avec le concours du CNRS.
- Simghera Rolandze. (1942). Mtargmnelebi Razhden Gvet'adze, Kharit'on Vardoshvili, Alekandre Abasheli, redaktsia, ts'inastq'vaoba da shenishvnebi Solomon Iordanisvilisa. [Song of Roland(1942). Translators R. Gvetadze, KH. Vardoshvili and Alexandre Abasheli, editing, preface and notes by Solomon Iordanishvili]. Tbilisi: Federation.
- Turnava S. (1978) Sazghvargaretuli Kartvelologia[Georgian studies abroad]. Tbilisi: Soviet Georgia.
- Turnava S. (1999) Meotse sauk'unis sazghvargaretuli kartvelologia. [Twentieth – Century Georgian Studies]. Tbilisi.
- Utié, B. (1978). Vepkhistq'aosnis pranguli targmanebi [French translations of The Man in the Panther's Skin]. Literaturuli Sakartv2lo [Literary Georgia]